



არ ემ ჯი ჯგუფი

კომპანიის პროფილი

მარტი, 2021

## წინაისტორია

მადნეულის ოქრო-სპილენძ-ბარიტ-პოლიმეტალების საბადო მდებარეობს ბოლნისის რაიონში, თბილისიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, 80 კმ-ის დაშორებით. მადნეულის საბადოს შესწავლა გასული საუკუნის 40-იან წლებში დაიწყო. 1956 წელს საბადო დამტკიცდა, ხოლო 1959 წელს საქართველოში დაიწყო ფერადი ლითონების ერთ-ერთი უდიდესი – მადნეულის კომბინატის მშენებლობა. კომბინატის მშენებლობასთან დაკავშირებით, დაარსდა დიდი სამრეწველო დასახლება – დაბა კაზრეთი. 1975 წელს ექსპლუატაციაში შესული კომბინატი ახორციელებდა სპილენძის, ბარიტის, ოქრო-ვერცხლის შემცველი კვარციტებისა და პოლიმეტალური მადნების მოპოვებას, მოპოვებული სპილენძის და ბარიტის მადნების პირველად გადამუშავებას, გამდიდრებას და მიღებული პროდუქტის რეალიზაციას. ბარიტის მოპოვება 1990 წელს შეწყდა. 1994 წელს შეიქმნა “კვარციტი”, რომელმაც დაიწყო ცალკე დასაწყობებული ოქროსშემცველი კვარციტის მადნებიდან ოქროსა და ვერცხლის დორეს მიღება გროველი გამოტუტვის მეთოდით.

2005 წელს სს „მადნეულის“, შპს „კვარციტისა“ და მათთან დაკავშირებული არაერთი საწარმოს პრივატიზების შედეგად საწარმოების მფლობელი გახდა რუსული საფინანსო-სამრეწველო ჯგუფის „პრომიშლენი ინვესტორის“ შვილობილი კომპანია - ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე რეგისტრირებული კომპანია „სტენტონ იქვითიმ ქორფორეიშენს“. საგულისხმოა, რომ 2004 წლის ოქტომბრიდან, სს „მადნეულის“ პრივატიზების შესახებ განაცხადის გამოქვეყნების დღემდე, საწარმოს გენერალური დირექტორის პოსტს იკავებდა “პრომიშლენი ინვესტორის” ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი, კობა ნაყოფია<sup>1</sup>. საწარმოების გასხვისების შემდეგ კობა ნაყოფია პოსტს დაუბრუნდა და 2004-2008 წ.წ.-ში „მადნეულისა“ და „კვარციტის“ გენერალური დირექტორისა და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის პოზიციებს იკავებდა<sup>2</sup>.

2007 წლის დეკემბერში „პრომიშლენი ინვესტორმა“ “მადნეულსა” და „კვარციტში“ წილები კომპანია [GeoProMining](#)-ს მიყიდა, რომლის მფლობელი „პრომიშლენი ინვესტორის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე და თანამფლობელი, სიმან პოვარენკინი იყო. 2012 წლიდან კი საწარმოების მფლობელი კვლავ რუსული კომპანია „კაპიტალ ჯგუფი“ გახდა. 2012 წელს მფლობელის გამოცვლასთან დაკავშირებით სს „მადნეულს“ დაერქვა - არემჯი კოპერ (RMG Copper), ხოლო შპს „კვარციტს“ - არემჯი გოლდ (RMG Gold).

## RMG GOLD

საქართველოს მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა საჯარო რეესტრის მონაცემების თანახმად, 2019 წლის ივნისამდე შპს RMG Gold-ის მესაკუთრეები იყვნენ: კერძო შემლუდული პასუხისმგებლობის კომპანია Rich Metals Group B.V., რეგისტრირებული ნიდერლანდებში (წილის 96.21%) და სს RMG Copper (წილის 3.79%). 2019 წლის 10 ივნისს კომპანიის სარეგისტრაციო დოკუმენტაციაში შესული ცვლილებების თანახმად, Rich Metals Group B.V. ლიკვიდაციის გამო 96.21% მფლობელი გახდა ლიკვიდირებული კომპანიის ერთადერთი აქციონერი შპს მაინინგ ინვესტმენტს (ს/კ404415824). შპს მაინინგ ინვესტმენტსის მფლობელი კვიპროსში რეგისტრირებული შპს „ფემთილონ ჰოლდინგს ლიმიტიდა“.

შპს „მაინინგ ინვესტმენტს“-ის შესახებ საზოგადოებამ პირველად 2012 წლის თებერვალში გაიგო, როდესაც კომპანია ბუნებრივი რესურსების სააგენტოს მიერ გამართული აუქციონის ერთადერთი მონაწილე აღმოჩნდა. აუქციონზე შიდა ქართლის რეგიონში ოქროს, სპილენძისა და სხვა ძვირფასი მინერალების შესწავლა-მოპოვებაზე 27 წლიანი ლიცენზია იყო გამოტანილი. შპს „მაინინგ ინვესტმენტსი“ თბილისში 2012

<sup>1</sup> 2008 წელს საპარლამენტო არჩევნებში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სახელით მონაწილეობასთან დაკავშირებით, კობა ნაყოფიამ კვლავ კვლად დატოვა თანამდებობა. მე-7, მე-8 და მე-9 მოწვევის პარლამენტის წევრობის შემდეგ, ამჟამად, კობა ნაყოფია საქართველოს მე-10 მოწვევის პარლამენტის წევრთა სიაშია.

<sup>2</sup> <http://www.prominvestors.com/> კომპანიის მესაკუთრე და პრეზიდენტი რუსეთის სათბობ-ენერჯეტიკის ყოფილი მინისტრი სერგეი გენერალოვია.

წლის 13 თებერვალს, აუქციონის ჩატარებამდე ორი კვირით ადრე დარეგისტრირდა და ლიტვის მოქალაქე ალვიდას ბრუსოკასი იყო შპს „მაინინგ ინვესთმენტის“ დირექტორი და ერთადერთი მფლობელი<sup>3</sup>.

არ შეცვლილა RMG Gold-ის სამეთვალყურეო საბჭო და მის წევრებად რჩებიან: **რუსი მილიარდერები დმიტრი ტროიცკი** და **დმიტრი კორჟევი** და ირინა ნიკიფოროვა, ასევე რუსეთის მოქალაქე. კომპანიის აღმასრულებელი დირექტორია - თორნიკე ლიპარტია.

RMG Gold არის საყდრისის ცნობილ საბადოზე წაიღითსარგებლობის ლიცენზიის მფლობელი.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულია შპს RMG Gold-ის [2017](#), [2018](#) და [2019](#) წლების ინდივიდუალური წლიური ანგარიშები ქართულ და ინგლისურ ენაზე.

2019 წლის ანგარიშის თანახმად, „კომპანიის მფლობელები არიან სს „RMG Copper“ და შპს „მაინინგ ინვესთმენტს“, რომლებიც ფლობენ („პარტნიორი კომპანიები“, „მესაკუთრეები“) კომპანიის კაპიტალის 3,79% და 96,21%-ს, შესაბამისად. კომპანიის საბოლოო მშობელი კომპანია არის შპს „Eulachon Limited“. კომპანიის საბოლოო კონტროლის უფლების მქონე მხარეები არიან ბატონი დმიტრი კორჟევი და ბატონი დმიტრი ტროიცკი“.

2019 წლის ანგარიშის თანახმად, „ამჟამად კომპანია მუშაობს რამდენიმე პროექტზე: კერძოდ, გრძელდება საყდრისის საბადოდან მადნის მოპოვება და გადამუშავება, ასევე ხდება უკვე გადამუშავებული მადნის მესამედ გადამუშავება. კომპანია ასევე ახორციელებს ე.წ. აგლომერაციის პროექტს, რაც გულისხმობს ბარიტის მადნის შერევას უკვე გადამუშავებულ მადანთან. გარდა ამისა მიმდინარეობს საყდრისის საბადოდან მადნის მოპოვება სს არემჯი კოპერზე მისაწოდებლად. ამ ეტაპზე არსებული მარაგების გათვალისწინებით, საყდრისის საბადოდან მადნის მოპოვება 2.4 მილიონი ტონის რაოდენობით არის მოსალოდნელი რაც შეიცავს დაახლოებით 71 ათას უნცია ოქროს (1 უნცია 31.1035 გრამია); მოცემული რაოდენობის ამოღება უნდა მოხდეს 2028 წლის ბოლომდე.

კომპანია გეგმავს 9 მილიონი ტონა მადნის მეორედ გადამუშავებას, რომელიც შეიცავს 87 ათას უნცია ოქროს. მოცემული რაოდენობის მადნის გადამუშავება იგეგმება 2022 წლის ბოლომდე. მესამედ გადამუშავება ხორციელდება ე.წ. ძველ გროვებზე რაც წარმოადგენს ძირითადად 90 იანი წლებიდან სს არემჯი კოპერისგან შესყიდულ და გადამუშავებულ მადნებს, რომელზეც შემდგომ განხორციელდა ე.წ. გადაბრუნება ანუ მეორედ გადამუშავება. მესამედური გადამუშავებისთვის ვარგისი მადანი შეფასებულია 12.5 მილიონი ტონის რაოდენობით რომელიც შეიცავს 100 ათას უნცია ოქროს. მოცემული რაოდენობის მადნის გადამუშავება იგეგმება 2022 წლის ბოლომდე. აგლომერაციის პროექტის ფარგლებში დაგეგმილია 1.3 მილიონი ტონა ბარიტის მადნის გადამუშავება, რომელიც შეიცავს 19 ათას უნცია ოქროს. ამ პროექტის ფარგლებში გადამუშავება უნდა მორჩეს 2022 წელს.

ბნელი ხევის პროექტის ფარგლებში დაგეგმილია 1.7 მილიონი ტონა მადნის გადამუშავება, რომელიც შეიცავს 44 ათას უნცია ოქროს. ამ პროექტის ფარგლებში გადამუშავება უნდა მორჩეს 2022 წელს.

სს არემჯი კოპერისთვის ოქრო სპილენძის მადნების მოპოვება იგეგმება 10 მილიონი ტონის ოდენობით, რომელშიც ოქროს შემცველობა იგეგმება 332 ათასი უნციის ოდენობით, ხოლო სპილენძის შემცველობა 34 ათასი ტონის ოდენობით. მოცემული რაოდენობის მადნის მოპოვება იგეგმება 2028 წლის ბოლომდე.

<sup>3</sup> [წიალისეულის აუქციონმა ვერ შეძლო დიდი ინვესტორების მოზიდვა' საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, 1 მარტი, 2012](#)

ასევე 2020 წლიდან მუშევანის პროექტის ფარგლებში იგეგმება სს არემჯი კოპერისთვის ოქრო სპილენძის მადნების მოპოვება 2.3 მილიონი ტონის ოდენობით, რომელშიც ოქროს შემცველობა იგეგმება 89 ათასი უნციის ოდენობით, ხოლო სპილენძის შემცველობა 6 ათასი ტონის ოდენობით. მოცემული რაოდენობის მადნის მოპოვება იგეგმება 2028 წლის ბოლომდე.

კომპანიის საქმიანობისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანია ოქროს ამოკრეფის კოეფიციენტის ცნება. არსებული ტექნოლოგიური პროცესი არ იძლევა მადანში არსებული ოქროს სრულად ამოღების საშუალებას. ეს მონაცემი დამოკიდებულია ძირითადად მადნის ხარისხზე, ოქროს შემცველობაზე, გროვის სიდიდეზე და ა.შ. 2019 წლის მონაცემებით საყდრისის მადნისთვის ეს კოეფიციენტი იყო 70.69%, მესამედური გადაამუშავებისთვის 20.58%, ხოლო ბარიტის მადნისთვის 32.87%. რაც შეეხება კომპანიის საოპერაციო საქმიანობას, 2019 წელს ოქროს და ვერცხლის რეალიზაცია გაიზარდა 2018 წელთან შედარებით 165.47 და 1.06 მილიონი ლარიდან - 183.21 და 1.10 მილიონ ლარამდე. ცვლილება ძირითადად განპირობებულია ოქროს ფასების ზრდით. ამავე დროს გაიზარდა ოქრო-სპილენძის მადნის რეალიზაცია 35.82 მილიონი ლარიდან 2018 წელს 40.09 მილიონ ლარამდე 2019 წელს. წარმოებული პროდუქციის თვითღირებულება გაიზარდა 159 მილიონი ლარიდან 2018 წელს 182.89 მილიონ ლარამდე 2019 წელს. აღსანიშნავია 2019 წელს 2018 წელთან შედარებით ხელფასების ზრდა 26.8 მილიონი ლარიდან 34.6 მილიონ ლარამდე, რაც განპირობებულია დასაქმებული პერსონალის ზრდით 1,510 თანამშრომლიდან 1,549-მდე და ასევე ხელფასების ზრდით. კომპანიაში დასაქმებული თანამშრომლები ინდუსტრიის სპეციფიკიდან გამომდინარე ფლობენ განსაკუთრებულ უნარ-ჩვევებს რაც უნიკალურია საქართველოსთვის“.

საკულისხმოა, რომ ფინანსურ ანგარიშში ასევე მიმოხილულია ისეთი გარემოსდაცვითი საკითხები, როგორიცაა: ნიადაგზე, ატმოსფერულ ჰაერზე, წყალზე, ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედება, სანაყაროების ფერდობების მდგრადობა, ნარჩენების მართვა.

## RMG COPPER

სს RMG Copper-ის მფლობელების შესახებ ინფორმაცია მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში არ არის წარმოდგენილი, ვინაიდან აქციის მფლობელების შესახებ ინფორმაციის საჯაროობას საქართველოს კანონმდებლობა არ უზრუნველყოფს. თუმცა, 2016 წლიდან „ბულალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების ამოქმედებასთან დაკავშირებით სს RMG Copper-აც გაჩნდა საჯარო ფინანსური ანგარიშგების ვალდებულება და შეიძლება ითქვას, რომ ბულალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული სს RMG Copper [2017](#), [2018](#) და [2019](#) წლის ფინანსური ანგარიშები ყველაზე მეტ ინფორმაციას მოიცავს კომპანიის მფლობელების შესახებ, რაც კი აქამდე საჯაროდ ხელმისაწვდომი გამხდარა.

სს RMG Copper-ის ფინანსური ანგარიშების თანახმად, 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის 99.6%-ის მფლობელი იყო Rich Metals Group B.V. (ნიდერლანდები), ხოლო საბოლოო მფლობელები იყვნენ ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე რეგისტრირებული „Suncort Enterprises Limited“ და „Ticola Holdings Limited“. 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი მხარე ორი ფიზიკური პირი იყო - დიმიტრი ტროიცკი და დიმიტრი კორჟევი, რომლებსაც ჰქონდათ უფლება საკუთარი შეხედულებისამებრ და საკუთარი სარგებლისთვის წარმართათ კომპანიის ოპერაციები. 2019 წლის 31 დეკემბრისთვის, კომპანიის 99.6%-ის მფლობელი იყო შპს „Mining Investments“-ი, საქართველოში რეგისტრირებული კომპანია და ჯგუფის საბოლოო მაკონტროლებელი კომპანიაა „Eulachon Limited“, მენის კუნძულზე რეგისტრირებული კომპანია. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფი საბოლოოდ კონტროლდება ფიზიკური პირის მიერ - დიმიტრი ტროიცკის მიერ, რომელსაც აქვს უფლება საკუთარი შეხედულებისამებრ და საკუთარი სარგებლისთვის წარმართოს ჯგუფის/კომპანიის ოპერაციები.

2019 წლის ანგარიშის თანახმად, დიმიტრი ტროიცკის ასევე გააჩნია სხვადასხვა ბიზნეს ინტერესები ჯგუფის გარეთ.

ანგარიშში ასევე აღნიშნულია, რომ „2019 წლის ბოლოს კომპანიას ჰყავს ორი შვილობილი კომპანია: შპს ბელაბ კავკაზ ტრანს და შპს ტრანს ფეთქ მზიდი, რომლებსაც არ აქვთ მნიშვნელოვანი ოპერაციები.

კომპანიის ტექნოლოგიური პროცესი წარმოადგენს ქანებიდან ოქროს და სპილენძის ამოღებას ფლოტაციის ტექნოლოგიური პროცესის საშუალებით. ფლოტაცია წარმოადგენს პროცესს, სადაც წვრილად დაფქვილ ქანებში წყლის და რეაგენტების გამოყენებით ძირითადად კირის საშუალებით) ხდება კონცენტრატის ანუ იმ ფრაქციის გამოყოფა, რომელიც ყველაზე მეტ ოქროს და სპილენძს შეიცავს. აღნიშნული პროცესის მეშვეობით 2019 წელს გადამუშავდა 2.52 მილიონი ტონა მადანი, რომელშიც სპილენძის შემცველობა იყო 0.38% და ოქროს შემცველობა 1.07 გრამი ტონაზე. წარმოებულმა კონცენტრატმა შეადგინა 40,803 ტონა (მშრალი წონა - სველმა წონამ შეადგინა 45,423 ტონა), რომელშიც სპილენძის შემცველობა იყო საშუალოდ 16.00% და ოქროს შემცველობა 41.57 გრამი ტონაზე. სპილენძის და ოქროს მადნიდან ამოღების კოეფიციენტებმა შეადგინა შესაბამისად 70.71% და 64,86%. კომპანიის კუთვნილ ფაბრიკაში 2019 წლიდან დაიწყო შპს აურამაინის მიერ წარმოებული მადნის გადამუშავება, და ოქროს პოლიმეტალური კონცენტრატის წარმოება, 2019 წელს გადამუშავდა 33 ათასი ტონა მადანი, წარმოებული იყო 2,333 ტონა (მშრალი წონით) ოქრო-პოლიმეტალური კონცენტრატი, რომელშიც იყო მეტალების შემდეგი შემცველობა, ტყვია 13.10%, თუთია 24,23%, ოქრო 57.87 გრამი ტონაზე და ვერცხლი 383.12 გრამი ტონაზე.

ფლოტაციის ტექნოლოგიით მხოლოდ გარკვეული ტიპის ე.წ. სულფიდური მადნის გადამუშავება შეიძლება, ამიტომაც კომპანია შესაბამის მადანს იღებს როგორც საკუთარი ე.წ. მადნეულის კარიერიდან ისე შპს არემჯი გოლდის საყდრისის საბადოდან. 2020-2028 წლებში დაგეგმილია 16.6 მილიონი ტონა მადნის მოპოვება მადნეულის კარიერიდან და ამავე პერიოდში 10.3 მილიონი ტონა მადნის შესყიდვა შპს არემჯი გოლდიდან. აგრეთვე 2020-2027 წლებში დაგეგმილია შპს აურამაინის 2,3 მილიონი ტონა მადნის მოპოვება და გადამუშავება.

რაც შეეხება კომპანიის საოპერაციო საქმიანობას, 2019 წელს რეალიზაცია გაიზარდა 275.8 მილიონი ლარიდან - 325.4 მილიონ ლარამდე. რეალიზაციის გაზრდა ძირითადად განპირობებულია რეალიზებულ კონცენტრატში წინა წელთან შედარებით ოქროს უფრო მაღალი შემცველობით და ოქროს ფასის ზრდით. ამავე დროს გაიზარდა თვითღირებულებაც 155.4 მილიონი ლარიდან 189.5 მილიონ ლარამდე, რაც გამოწვეულია საყდრისის საბადოდან შედარებით ძვირი მადნის შესყიდვით, ზოგადად ლარის გაუფასურების გამო ლარში მასალების და დანადგარების გაძვირებით. 2019 წელს ხელფასების ხარჯი გაიზარდა 34.8 მილიონი ლარიდან 45.3 მილიონ ლარამდე, რაც ძირითადად გამოწვეული იყო დასაქმებულების გაზრდით 1,763 თანამშრომლიდან 1,854-მდე და ასევე მათი ხელფასის ზრდით.

RMG Copper-ის შემთხვევაშიც ფინანსურ ანგარიშში მიმოხილულია ისეთი გარემოსდაცვითი საკითხები, როგორიცაა: ატმოსფერულ ჰაერზე, წყალზე, ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედება და მონიტორინგი, ხმაური და ნარჩენების მართვა.

## მაინინგ ინვესტმენტს

შპს მაინინგ ინვესტმენტს (ს/კ404415824) როგორც ზემოთ აღვნიშნეთ 2012 წელს და ლიტვის მოქალაქე ალვიდას ბრუსოვასის მიერ რეგისტრირებული კომპანიაა. წლების განმავლობაში კომპანიაში სხვადასხვა ტიპის ცვლილებები განხორციელდა. 2015 წელს შპს მაინინგ ინვესტმენტს შეერწყა იმავე კომპანიის

საკუთრებაში არსებული შპს მაინინგ დეველოპმენტს - ჯორჯია<sup>4</sup> (ს/კ404944414). სხვადასხვა დროს კომპანიის გენერალური დირექტორები იყვნენ რუსეთის მოქალაქე იური პილიპენკო, ვახტანგ ფარესიშვილი<sup>5</sup>, რომელიც 11.12.2018-დან [საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის უფროსის მოადგილის](#)<sup>6</sup> თანამდებობას იკავებს და სოლომონ ცაბაძე.

დღეის მდგომარეობით კომპანიის 100%-იან წილს კვიპროსში დაარსებული Pamtilon Holdings Limited ფლობს. კომპანიის გენერალური დირექტორი რუსეთის მოქალაქე ვლადიმირ პეტროვია; ხოლო სამეთვალყურეო საბჭოს წევრები არიან რუსეთის მოქალაქე დიმიტრი ტროიცკი, კახაბერ მჭედლიშვილი და ვლადიმირ პეტროვი.

ბულალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ვებ-გვერდზე ინფორმაცია შპს მაინინგ ინვესთმენტს შესახებ გამოქვეყნებული არ არის.

## კავკასიის სამთო ჯგუფი

კომპანიებთან მჭიდროდ არის დაკავშირებული შპს „[კავკასიის სამთო ჯგუფი](#)“ (ს/კ 404908775), რომელიც 2011 წლიდან (ფაქტიურად, რეგისტრაციის მომენტიდან) არის მანამდე სს „მადნეულისათვის“ ჩამორთმეული შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის<sup>7</sup> მფლობელი. „კავკასიის სამთო ჯგუფის“ მფლობელიც კვიპროსზე რეგისტრირებული კომპანია Pamtilon Holdings Limited-ია. კავკასიის სამთო ჯგუფის გენერალური დირექტორი ჯონდო შუბითიძეა. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები აქაც რუსეთის მოქალაქე დიმიტრი კორჟევი, კახაბერ მჭედლიშვილი და ასევე, რუსეთის მოქალაქე ირინა ნიკიფოროვაა.

შპს „კავკასიის სამთო ჯგუფი“ ფლობს შპს „არ ემ ჯი აურამაინის“ (404908775) 100% წილს და შპს „ჯორჯიან გოლდ კომპანის“ (405205987) 100% წილს, რომელთა გენერალური დირექტორი თორნიკე ლიპარტიია. ასევე, „კავკასიის სამთო ჯგუფი“ კანადურ კომპანია [Candelaria](#)-თან<sup>8</sup> ერთად ფლობს (50% წილს) საქართველოში რეგისტრირებულ სს „ჯორჯიან კოპერ ენდ გოლდს“ (სკ 405117494).

სს „ჯორჯიან კოპერ ენდ გოლდის“ გენერალური დირექტორი პაატა შურღაიაა. კომპანიის გენერალური დირექტორი 2016 წლის 18 ნოემბრამდე, ამჟამად საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე და მანამდე, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე და პარლამენტის გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე, კახაბერ კუჭავა იყო. 2016 წლის 15 ნოემბერამდე კახაბერ კუჭავა, ასევე, იყო შპს „ამბრელა ენტერპრაიზის“ (404879798) 33% წილის მფლობელი (წილი 100 ლარად იყიდა ირაკლი კუჭავამ); ხოლო 2011 წლიდან 2016 წლის 11 ოქტომბრამდე იყო შპს „ამბრელა ენტერპრაიზის“ მიერ დაფუძნებული სს „კარლტონ ჯორჯიას“ (შემდგომში სს ZOPKHITO GOLD, ამჟამად სს „კავკასიის მინერალები“) დირექტორი, რომელმაც 2011 წელს ონის რაიონში ფერადი, კეთილშობილი, იშვიათი ლითონების და ბარიტის მოპოვება-შესწავლის 30 წლიანი ლიცენზია 990 000 ლარად მოიპოვა.

<sup>4</sup> 2012 წელს რეგისტრაციისას კომპანიის მფლობელი იყო კვიპროსზე რეგისტრირებული სპეციალური კო, ხოლო დირექტორი - სოლომონ ცაბაძე. ეს კომპანია თავის მხრივ ფლობდა შპს მინერალ რესურსიმ მენჯემენტს (ს/კ 404944600), რეგისტრირებულია 15/05/2012, დირექტორი: ზურაბ ქუთელია. 2013 წელს კომპანია შეერწყა მფლობელს.

<sup>5</sup> 2014 – 2017 წლებში იყო შპს „მაინინგ ინვესთმენტს“ (RMG ჯგუფი) - დირექტორი, სამეთვალყურეო საბჭოს წევრი. ამავე წლებში იგივე პოზიციას იკავებდა შპს RMG Gold-ში, სს RMG Copper-ში და კავკასიის სამთო ჯგუფში.

<sup>6</sup> საგულისხმოა, რომ 6.12.2018-დან [საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის უფროსის თანამდებობას იკავებს სოსო რამიშვილი](#), რომელიც 21.02.2017-13.03.2018 პერიოდში შპს RMG Gold-ის და სს RMG Copper-ის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე იყო

<sup>7</sup> ლიცენზია გაცემულია ბოლნისის, მარნეულის, დმანისის, წალკისა და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტებში ფერადი, კეთილშობილი, იშვიათი მეტალებისა და ბარიტის შესწავლა-მოპოვებისათვის. ლიცენზია გაცემულია 187 823, 59 ჰა ფართობზე რაც ქვეყნის საერთო ფართობის 2,7%-ია.

<sup>8</sup> „კანადურმა კომპანიამ ბოლნისში ოქროს მოპოვებელი კომპანიის 50%-იანი წილი შეიძინა“, ოქტომბერი 28, 2020, Forbes Georgia

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ვებ-გვერდზე ინფორმაცია შპს „კავკასიის სამთო ჯგუფის“ და არც მის საკუთრებაში არსებული კომპანიების შესახებ გამოქვეყნებული არ არის.

## ლეგალიზებული კანონდარღვევები

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, საქმიანობები, რომელთა განხორციელებამ შესაძლოა მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს გარემოზე, ადამიანის სიცოცხლეზე ან/და ჯანმრთელობაზე, შესაძლოა განხორციელდეს მხოლოდ კომპეტენტური ორგანოს - გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წინასწარი თანხმობის (2018 წლამდე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის, 2018 წლის შემდეგ ე.წ. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების) საფუძველზე. თუმცა, კანონის ამ მოთხოვნის შესრულება ყოველთვის სავალდებულო არ არის RMG ჯგუფში შემავალი კომპანიებისათვის; ხოლო შეუსრულებლობა არ ქმნის პრობლემებს. თუ კანონდარღვევა გამჟღავნდა ყოველთვის მოიძებნება მისი დაკანონების, თუნდაც უკანონო, გზა.

2019 წლის 28 მარტს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა [განცხადება](#) ბოლნისის მუნიციპალიტეტში, შპს „არ ემ ჯი აურამაინის“ ბექთაქარის ოქრო-პოლიმეტალური საბადოს ტერიტორიაზე, რეზერვუარ-სალექარის მონყობის პროექტის სკოპინგის ანგარიშის<sup>9</sup> საჯარო განხილვის თაობაზე. როგორც განცხადებაზე თანდართული დოკუმენტაციიდან ირკვეოდა, 2019 წლის 21 მარტს შპს არემჯი აურამაინის გენერალურმა დირექტორმა თორნიკე ლიპარტიამ წერილით მიმართა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს რომლითაც აცნობა, რომ კომპანიას **დაგეგმილი აქვს** ბექთაქარის ოქრო-პოლიმეტალური საბადოს მიმდებარე ტერიტორიაზე 17800მ<sup>3</sup> მოცულობის რეზერვუარი-სალექარის მონყობა და განსახილველად და სკოპინგის დასკვნის მოსაპოვებლად წარუდგინა ბექთაქარის ოქრო-პოლიმეტალური საბადოს მიმდებარე ტერიტორიაზე 17800 მ<sup>3</sup> მოცულობის რეზერვუარი-სალექარის მონყობის პროექტის სკოპინგის ანგარიში.

2019 წლის 12 აპრილს სოფელ ბერთაკარში ჩატარდა **დაგეგმილი საქმიანობის** სკოპინგის ანგარიშის განხილვა, რომელსაც მწვანე ალტერნატივას წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. საჯარო განხილვის შემდეგ, მწვანე ალტერნატივას მოთხოვნით საპროექტო ტერიტორიის დათვალიერება მოხდა. როგორც ადგილზე გასვლის შედეგად გაირკვა არ ემ ჯი აურამაინს არა თუ დაგეგმილი, არამედ უკვე დამთავრებული ჰქონდა მშენებლობა. საპროექტო ტერიტორიაზე უკვე მონყობილი იყო ორი სალექარი. აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ ვაცნობეთ მინისტრს და შესაბამისი ნებართვის გარეშე სალექარის მშენებლობის ფაქტისა და სკოპინგის დასკვნის მოტყუებით მოპოვების გამოძიება მოვითხოვეთ. მწვანე ალტერნატივას საჩივარი მინისტრის მოადგილე ნინო თანდილაშვილმა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ, 2019 წლის 23 აპრილს გადაუგზავნა და კომპეტენციის ფარგლებში საკითხის შესწავლა სთხოვა.

საგულისხმოა, რომ ჩვენს მიერ მოგვიანებით გამოთხოვილ ადმინისტრაციული წარმოების მასალებში არ მოიპოვება რაიმე დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებდა სამინისტროს გარემოსდაცვითი შეფასების სამმართველოს თანამშრომლის (რომელიც უძღვებოდა განხილვას) ან მისი ზემდგომის მიერ კანონდარღვევის ფაქტის შესახებ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტისათვის შეტყობინების ფაქტს.

ვინაიდან საჩივარზე პასუხად არ მიგვიღია სამინისტროს გამოხმაურება, 2019 წლის 10 მაისს მოვითხოვეთ კანონდარღვევის ფაქტის შესახებ მოწოდებული ინფორმაციის გადამოწმებისა და ფაქტის შესწავლისათვის

<sup>9</sup> გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის თანახმად, სკოპინგი არის პროცედურა, რომელიც განსაზღვრავს გარემოზე ზემოქმედების შეფასებისათვის მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალს და ამ ინფორმაციის გარემოზე ზემოქმედების ანგარიშში ასახვის საშუალებებს;

სამინისტროს მიერ განხორციელებული ქმედებების შესახებ ინფორმაცია. პასუხი მხოლოდ 2019 წლის 3 ივლისს მივიღეთ. წერილში აღნიშნული იყო:

„1. ადგილზე განხორციელებული ინსპექტირების შედეგად დადგინდა, რომ შპს "არ ემ ჯი აურამაინი"-ს მიერ მიწის ექსკავაციისას, კერძოდ გვირაბის პორტალის შესასვლელის, სალექარების, გვირაბის გაყვანის შედეგად წარმოქმნილი ფუჭი ქანების განთავსების, სამშენებლო მოედნამდე მისასვლელი გზის, სამშენებლო მოედნის მიმდებარედ ავტოსადგომის მოწყობისა და სხვა დამხმარე ნაგებობების მშენებლობის პროცესში, არ განხორციელდა ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა და დასაწყობება "ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №424 დადგენილების მე-3 მუხლის მე-2 და მე-5 პუნქტის, ასევე მე-11 პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად;

2. როგორც იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 29 მაისის №185054 წერილით დადგინდა, სამშენებლო მოედნის მიმდებარედ არსებული ტერიტორია (უძრავი ნივთი), სადაც მოწყობილია ავტოსადგომი (ფართობი 500 მ2) საკუთრების უფლება არ არის რეგისტრირებული. აღნიშნული ნაკვეთი წარმოადგენს სახნავის კატეგორიის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებს, შესაბამისად, კომპანიის მიერ, მიწის გამოყენება ხდება არამიზნობრივად. ამდენად დადგინდა, რომ შპს "არ ემ ჯი აურამაინი"-ს მიერ ჩადენილია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 51-ე, 512 და 532-ე მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევა. აღნიშნულიდან გამომდინარე, 2019 წლის 18 ივნისს შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №051570 და №051571 ოქმები. ასევე გამოანგარიშდა მიწების (ნიადაგის) დეგრადაციის შედეგად გარემოსათვის მიყენებული ზიანის ოდენობა, რომელმაც შეადგინა 1105,74 ლარი. ოქმები თანდართული მასალებით, განსახილველად დეპარტამენტის 2019 წლის 27 ივნისის №DES91900038224 და №DES41900038229 წერილებით, გადაეგზავნა ბოლნისის რაიონულ სასამართლოს.

3. ნარჩენების მართვის კოდექსის მე-14 მუხლის შესაბამისად, შპს "არ ემ ჯი აურამაინი" ვალდებული იყო, შეემუშავებინა კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმა და შესათანხმებლად წარედგინა სამინისტროში, რაც კომპანიას არ განუხორციელებია.

4. ასევე ნარჩენების მართვის კოდექსის 29-ე მუხლის შესაბამისად, შპს "არ ემ ჯი აურამაინი" ვალდებული იყო, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 9 იანვრის №2-11 ბრძანების შესაბამისად, 2018 წელს წარმოქმნილი ნარჩენების შესახებ ინფორმაცია, ელექტრონულად <http://waste.moe.gov.ge>-ს მეშვეობით, 2019 წლის 1 მარტამდე, წარედგინა სამინისტროში, რაც კომპანიას არ განუხორციელებია. ამდენად დადგინდა, რომ შპს "არ ემ ჯი აურამაინი"-ს მიერ ჩადენილია ნარჩენების მართვის კოდექსის 43-ე მუხლის მეორე ნაწილით და 44-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევა. აღნიშნულიდან გამომდინარე, 2019 წლის 18 ივნისს შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №051573 ოქმი. რომელიც თანდართულ მასალებთან ერთად, დეპარტამენტის 2019 წლის 27 ივნისის №DES01900038144 წერილით, განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს.

5. ასევე გამოვლინდა, რომ შპს "არ ემ ჯი აურამაინი"-ს წყლების შესაგროვებლად ბოლნისის მუნიციპალიტეტის, სოფ. ბერთაკარის მიმდებარედ, მოწყობილი აქვს 17 800 მ3 მოცულობის სალექარი, თუმცა აღნიშნულ საქმიანობაზე არ გააჩნია გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება. ამდენად, დადგინდა, რომ შპს "არ ემ ჯი აურამაინი"-ს მიერ ჩადენილია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 797 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევა. აღნიშნულიდან გამომდინარე, 2019 წლის 18 ივნისს, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №051572 ოქმი, რომელიც თანდართულ მასალებთან




ერთად, დეპარტამენტის 2019 წლის 27 ივნისის №DES11900038172 წერილით, განსახილველად გადაეგზავნა ბოლნისის რაიონულ სასამართლოს.

მწვანე ალტერნატივამ დამატებით მოითხოვა ინფორმაცია შპს „არ ემ ჯი აურამაინ“-ის მიერ სამინისტროსა და საზოგადოებისათვის ცრუ ინფორმაციის მიწოდებისა და ბექთაქარის საბადოს მიმდებარე ტერიტორიაზე უკვე მოწყობილი რეზერვუარი-სალექარისათვის მოტყუებით გარემოსდაცვითი გადანყვებილების მოპოვების მცდელობასთან დაკავშირებით სამინისტროს მიერ მიღებული ზომების შესახებ. რამაც სამინისტრომ გვაცნობა, რომ „შპს „არ ემ ჯი აურამაინის“ მიერ განხორციელებულ სამართალდარღვევებთან დაკავშირებით, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ, განხორციელდა კანონმდებლობით გათვალისწინებული რეაგირება და შედგენილი სამართალდარღვევების ოქმები განსახილველად გადაეგზავნა შესაბამის სასამართლოს“.

ვინაიდან გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს პასუხიდან ნათელი იყო, რომ სამინისტროს თანამშრომლებს არაფერი გაუკეთებიათ კომპანიის მიერ საზოგადოებისა და საჯარო უწყების მოტყუებით ნებართვის მოპოვების ფაქტზე რეაგირებისათვის, მწვანე ალტერნატივამ სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტს სამოხელეო გულგრილობის და/ან კორუფციული გარიგების შესწავლის მოთხოვნით მიმართა. პასუხად მივიღეთ, შიდა აუდიტის დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოადგილის ჯემალ დონაძის პასუხი, რომელმაც აგვისნა, რომ სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ძირითადი ფუნქციაა გარემოსდაცვითი კუთხით კანონდარღვევათა ფაქტებზე რეაგირება .

ბატონმა დონაძემ ასევე განვიმარტა, რომ თუკი მიგვაჩნდა, რომ ადგილი ჰქონდა რაიმე სხვა სახის დარღვევას, შეგვეძლო მიგვემართა შესაბამის ორგანოსათვის.



აქვე უნდა აღნიშნოს, რომ „საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესის შესახებ“ მთავრობის 2015 წლის 17 თებერვლის #61 დადგენილების თანახმად, სისხლის სამართლის დანაშაულის სავარაუდო ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში, ინსპექტირების აქტი ან/და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი და საქმის სხვა მასალები შემდგომი რეაგირებისათვის ეგზავნება შესაბამის საგამოძიებო ორგანოებს; ხოლო, თუ ინსპექტირების შედეგად გამოვლინდა სავარაუდო ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, რომელიც არ წარმოადგენს დეპარტამენტის კომპეტენციას და დეპარტამენტისათვის ცნობილია, რომელიც ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებას მიეკუთვნება აღნიშნული, შესაბამისი ინფორმაცია, საქმის მასალებთან ერთად, შემდგომი რეაგირებისათვის გადაეცემა შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს - რაც გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა მოცემულ შემთხვევაში არ გააკეთა.

ვიდრე ჩვენ სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის საკითხის გამოძიების აუცილებლობაში დარწმუნებას ვცდილობდით, შემდეგ კი საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარეს, კახაბერ კუჭავას საპარლამენტო ზედამხედველობის ფარგლებში სამინისტროს ქმედებების შესწავლას ვთხოვდით, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს

ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა მინისტრის ბრძანება „შპს „არ ემ ჯი აურამაინ“-ის ბექთაქარის ოქრო-პოლიმეტალური საბადოს მიმდებარე ტერიტორიაზე 17800 მ<sup>3</sup> მოცულობის რეზერვუარი-სალექარის მოწყობის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“. ბრძანების თანახმად, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ II დანართის მე-9 პუნქტის 9.9. ქვეპუნქტის საფუძველზე შპს „არ ემ ჯი აურამაინ“-ის ბექთაქარის ოქრო-პოლიმეტალური საბადოს მიმდებარე ტერიტორიაზე 17800 მ<sup>3</sup> მოცულობის რეზერვუარი-სალექარის მოწყობის პროექტზე სკოპინგის დასკვნა გაიცა.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ არაფერი გააკეთა შპს არ ემ ჯი აურამაინის მიერ საზოგადოებისა და თავად სამინისტროს მოტყუების მცდელობის აღსაკვეთად.

ნაცვლად ამისა, სამინისტრომ არათუ აღკვეთა, არამედ წაახალისა კიდევაც მსგავსი ქმედება; თავად დაარღვია კანონი და უკვე მიმდინარე საქმიანობაზე გასცა სკოპინგის დასკვნა. საგულისხმოა, რომ სამინისტროს მიერ გაცემული სკოპინგის დასკვნა სავალდებულოა საქმიანობის განმახორციელებლისთვის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მომზადებისას - თუმცა, როგორ უნდა მოამზადოს შპს „არ ემ ჯი აურამაინმა“ უკვე მიმდინარე საქმიანობაზე გარემოზე ზემოქმედების შეფასება, რომლიც მხოლოდ დაგეგმილ საქმიანობას შეიძლება ჩაუტარდეს - გაუგებარია.

რა თქმა უნდა, მწვანე ალტერნატივამ გაასაჩივრა მინისტრის სრულიად დაუსაბუთებელი და კანონსაწინააღმდეგო და თავისი არსით დანაშაულებრივი გადაწყვეტილება<sup>10</sup>. თუმცა, არც ეს აღმოჩნდა შემაფერხებელი არც „არ ემ ჯი აურამაინისათვის“ და არც სამინისტროსათვის - 2020 წლის 17 ივლისის, ჩვენს მიერ გასაჩივრებული - გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 24 ოქტომბრის N2-1010 ბრძანების საფუძველზე, ასევე, კანონმდებლობის უხეში დარღვევით გარემოსა დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა გამოსცა ბრძანება N 2-630 „შპს „არ ემ ჯი აურამაინის“ ბექთაქარის ოქრო-პოლიმეტალური საბადოს მიმდებარე ტერიტორიაზე 17800 მ<sup>3</sup> მოცულობის რეზერვუარი-სალექარის ექსპლუატაციის პროექტზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“.

გარდა იმისა, რომ გასაჩივრებული აქტებით უკვე განხორციელებულ უკანონო საქმიანობაზე გაცემულია გადაწყვეტილებები, რომელიც შესაძლებელია მხოლოდ დაგეგმილ საქმიანობასთან მიმართებით იქნას მიღებული, 2020 წლის 17 ივლისს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მიერ გამოცემული ბრძანებით გათვალისწინებული პირობებით კომპანიას დაევალა პოსტ ფაქტუმ იმ ინფორმაციის წარმოდგენა, რომელიც, როგორც დაგეგმილი საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შესწავლისას, ისე მიმდინარე საქმიანობის ეკოლოგიური აუდიტის ჩატარებისას, კრიტიკულად მნიშვნელოვანია და კანონით სავალდებულო იყო გადაწყვეტილების მიღების ეტაპზე. ამ ტიპის ინფორმაცია გადამწყვეტია პროექტის განხორციელების შედეგად გარემოს, ადამიანის სიცოცხლის ან/და ჯანმრთელობის, კულტურული მემკვიდრეობისა და მატერიალური ფასეულობებისათვის შექმნილი საფრთხის დონისა და ამ საფრთხის შემსუბუქებისა, თუ თავიდან არიდების შესაძლებლობების განსასაზღვრად. კერძოდ, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების<sup>11</sup> პირობების თანახმად:

„4. შპს „არ ემ ჯი აურამაინმა“ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 6 თვის ვადაში შახტური წყლების მძიმე მეტალებით და მჟავით დაბინძურების რისკის შეფასებისა და მინიმიზაციის მიზნით უზრუნველყოს მადნის მიერ მჟავის წარმოქმნის პოტენციალის განსაზღვრა და შედეგების სამინისტროში განსახილველად წარმოდგენა;

5. შპს „არ ემ ჯი აურამაინმა“ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 6 თვის ვადაში სამინისტროში შესათანხმებლად წარმოადგინოს მდინარეების მაშავერას და ხრამის ფონური მონაცემები, აგრეთვე

<sup>10</sup> სარჩელი წარდგენილია თბილისის საქალაქო სასამართლოში 2019 წლის 6 დეკემბერს.

<sup>11</sup> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 17 ივლისის ბრძანება N 2-630

ობიექტის ტერიტორიაზე გრუნტის წყლების, ხოლო ობიექტის მიმდებარე ტერიტორიაზე ნიადაგის ხარისხობრივი მონაცემები მძიმე მეტალების (სპილენძი, თუთია, კადმიუმი) შემცველობაზე;

6. შპს „არ ემ ჯი აურამაინმა“ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 1 თვის ვადაში სამინისტროში შესათანხმებლად წარმოადგინოს ინფორმაცია სალექარის ტერიტორიაზე მტვრის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით გათვალისწინებული პრევენციული ღონისძიებების შესახებ;

7. შპს „არ ემ ჯი აურამაინმა“ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 1 თვის ვადაში სამინისტროში წარმოადგინოს სალექარის შლამისაგან განმეორების პერიოდულობის, ამოღებული შლამის მოცულობისა და შემდგომი მართვის ღონისძიებების შესახებ დეტალური ინფორმაცია, ასევე ფუჭი ქანების დასაწყობების ადგილის (ფართობის) შესახებ ინფორმაცია კოორდინატების მითითებით;

8. შპს „არ ემ ჯი აურამაინმა“ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 1 თვის ვადაში უზრუნველყოს სამონიტორინგო ჭაბურღილების ადგილის კოორდინატებისა და პარამეტრების შესახებ ინფორმაციის სამინისტროში განსახილველად წარმოდგენა“.

2020 წლის 13 სექტემბერს მწვანე ალტერნატივამ მინისტრის ეს გადაწყვეტილება გაასაჩივრა; ორგანიზაციამ საქალაქო სასამართლოს მიმართა და შპს „არ ემ ჯი აურამაინის“ უკანონოდ აშენებული სალექარის პროექტზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა მოითხოვა<sup>12</sup>.

საგულისხმოა, რომ აბსოლუტურად იდენტური სიტუაცია იყო 2014 წელს RMG Gold-ის მიერ გამოსატუტი მოედნების მშენებლობასთან დაკავშირებით. RMG Gold-მა ჯერ ააშენა გამოსატუტი მოედნები, ხოლო შემდეგ მშენებლობისათვის გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მისაღებად საჭირო დოკუმენტაცია ჯერ დაინტერესებულ საზოგადოებასთან განიხილა და შემდეგ სამინისტროში წარადგინა ნებართვის მოსაპოვებლად. სტუდენტური მოძრაობა „მწვანე მუშის“ დამსახურებით<sup>13</sup> საზოგადოებისათვის ცნობილი გახდა კომპანიის მიერ საზოგადოებისა და სამინისტროს მოტყუებით ნებართვის მოპოვების მცდელობის შესახებ, თუმცა ეს არ გამხდარა საჯარო უწყებების მხრიდან რეაგირების საფუძველი. ნაცვლად ამისა, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ კომპანიას შესაძლებლობა მისცა გაეხმო წარდგენილი განცხადება დოკუმენტაციაში ტექნიკური ცვლილებების საჭიროების საბაბით; ხოლო მოგვიანებით მისცა კომპანიას მიმდინარე საქმიანობის განხორციელების უფლება. ამდენად კანონის დარღვევით საქმიანობის განხორციელების უფლების მოპოვება RMG ჯგუფის კომპანიებისათვის უკვე კარგად ნაცადი გზა და საჯარო უწყებებიც მონდომებით უწყობენ ხელს ამ პრაქტიკის დამკვიდრებას.

## საწარმოების გარემოზე ზემოქმედება

მადნეულისა (RMG Copper) და კვარციტის (RMG Gold) ფუნქციონირება გაცილებით ადრე დაიწყო, საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ. ამიტომ საწარმოების მფლობელმა ნებართვა მხოლოდ 2008 წელს მოიპოვა. გარემოზე ზემოქმედების ნებართვების მოპოვებისას, საწარმოების ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედება უნდა გამხდარიყო დეტალური შესწავლის საგანი, თუმცა, პროცესი უკიდურესად ფორმალურად და კომპანიებისათვის უმტკივნეულოდ წარიმართა; ნებართვის მოსაპოვებლად, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის ნაცვლად, წარდგენილი იყო ათი წლის წინ მომზადებული დოკუმენტი, რომელშიც მხოლოდ თარიღები იყო შეცვლილი. სამწუხაროდ, ნებართვის გაცემისას, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მაშინდელმა მინისტრმა, გოგა ხაჩიძემ არ ჩათვალა მნიშვნელოვან კანონდარღვევად ეს ფაქტი და ხელი მოაწერა ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანებას. ამდენად, საწარმოების საქმიანობის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების

<sup>12</sup> [დავის შესახებ დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია მწვანე ალტერნატივას ვებ-გვერდზე.](#)

<sup>13</sup> ["მწვანე მუში" მთავრობას მიმართავს და საყდრისის ახალ ფორტებს აგრეგოებს, 13 იანვარი 2014, ლიბერალი](#)

კომპლექსური კვლევა არ არსებობს. თუმცა, არსებობს ფრაგმენტული მონაცემები და კვლევები საწარმოების მიერ სხვადასხვა დროს გარემოსთვის მიყენებული ზიანის შესახებ.

არსებულ კვლევებს შორის აღსანიშნავია ქართველ და გერმანელ მკვლევართა ჯგუფის (გისენის უნივერსიტეტისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი პროექტი) ნაშრომი. მათი კვლევის მიზანს წარმოადგენდა ბოლნისის რაიონის ეკოსისტემაზე და მოსახლეობის ჯანმრთელობაზე მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის გავლენის შეფასება. მეცნიერთა დასკვნა საგანგაშო აღმოჩნდა: კვლევამ, რომელიც 2001-2011 წლებს მოიცავდა, აჩვენა, რომ ტერიტორიის ნახევარზე მეტი სერიოზულად არის დაბინძურებული მძიმე მეტალებით, კერძოდ, სპილენძით, კადმიუმით და თუთიით. ზოგიერთ უბანზე ამ მხრივ კატასტროფული მდგომარეობა აღმოჩნდა<sup>14</sup>. კვლევის დასკვნების თანახმად: “მდ. მაშავერას ხეობის მორწყული ნიადაგების დიდი ფართობი ძლიერადაა გადატვირთული მძიმე ლითონებით; დაბინძურების პრობლემა არსებობს, მაგრამ არ არსებობს აქედან გამოსავალი - პოლიტიკური და ეკონომიკური გზები; გამოკვლევული მაჩვენებლები ევროპის ნიადაგების დაცვის წესდებით გათვალისწინებული ნორმის ზღვარს ბევრად აღემატებიან; სპილენძი და კადმიუმი საკვები მცენარეებისგან ადვილად შეიწოვებიან. ამის შედეგად ხდება პირდაპირი კონტამინაცია; ნიადაგის დანამატების საშუალებით შესაძლებელია მძიმე მეტალების დაფიქსირება და მცენარეების მიერ მათი მიღების შემცირება; მაგრამ მაინც, მდ. მაშავერას ხეობაში მძიმე მეტალებით დაბინძურებული ნიადაგები ადამიანებისთვის, ცხოველებსა და საკვებისთვის ხანგრძლივ პრობლემას წამოადგენენ; აუცილებელია მოსახლეობის დაცვისთვის საჭირო ღონისძიებების გატარება, რაც მზარდი დატვირთვის წინააღმდეგ იქნება მიმართული”. მიგნებების თვალსაჩინოებისათვის სამუშაო ჯგუფმა ფილმიც გადაიღო<sup>15</sup>, სადაც კვლევის შედეგები და ანგარიშის დოკუმენტის გადაწყვეტილების მიმღებთათვის წარდგენის ფაქტია აღბეჭდილი<sup>16</sup>.

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის 2013-2014 წლების ანგარიშის თანახმად, შპს RMG Gold-ის მიერ ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გარეშე მადნის გროვული გამოტუტვის საწარმოო უბნის მშენებლობისას მიწის დაბინძურებისა და დეგრადირების შედეგად გარემოსათვის მიყენებულმა ზიანმა შეადგინა 29 153 880 ლარი; ხოლო სს RMG Copper-ის გამამდიდრებელი საწარმოს ტერიტორიაზე განთავსებულ 5000 კუბ.მ მოცულობის ე.წ. შემასქელებელი რეზერვუარიდან 500 კუბ.მ მოცულობის მყავე კარიერული წყლის მდ. კაზრეთულაში ჩაღვრის შედეგად გარემოსათვის მიყენებულმა ზიანმა 1 078 188 ლარი შეადგინა<sup>17</sup>. გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის 2013-2014 წლების ანგარიში არის უახლესი საჯაროდ, მოთხოვნის გარეშე ხელმისაწვდომი დოკუმენტი, რომელშიც საუბარია კომპანიების გარემოზე ზემოქმედების შესახებ.

ასევე, საჯარო, მხოლოდ მოთხოვნის საფუძველზე ხელმისაწვდომი დოკუმენტია გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის შპს „RMG Gold“-ზე (ს/კ 225359947) გაცემული გარემოზე ზემოქმედების №000056 ნებართვით გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის გეგმიური შემოწმების (15 დეკემბერი 2015 წელი - 15 მარტი 2016 წელი ) ანგარიში.

ანგარიშში აღწერილია ნებართვით გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების მნიშვნელოვანი დარღვევები. მაგალითად: კომპანიას არ აღმოაჩნდა მონიტორინგის (თვითმონიტორინგის) გეგმა და არც გარემოსდაცვითი

<sup>14</sup> [„ნიადაგების მძიმე მეტალებით გაჭურჭიანება და მათი ფუნქციების აღდგენის შესაძლებლობები - მდ. მაშავერას ხეობის მაგალითზე, საქართველო“](#); ავტორები: პეტერ ფელიქს-ჰენინგსენი, თომას ჰანაუერი, ბესიკ კალანდაძე, თენგიზ ურუშაძე, ლევან ნავროშაშვილი

<sup>15</sup> [Dig for Gold.reap Poison?](#) January 2012

<sup>16</sup> დოკუმენტი წარედგინა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს და პარლამენტის გარემოს დაცვის კომიტეტს. საგულისხმოა, რომ შეხვედრაზე დამსწრე თანამშრომლები დღესაც ამ უწყებებში მუშაობენ.

<sup>17</sup> [გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ანგარიში](#), 2013-2014 წ.წ.

სამოქმედო გეგმის შესაბამისად დაკისრებულ სამონიტორინგო ვალდებულებებს ასრულებდა; კომპანიას არ აღმოაჩნდა ნარჩენების მართვის გეგმა და სათანადოდ შემუშავებული და შეთანხმებული ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა; კომპანია არ იცავდა ქიმიური ნივთიერებების შენახვა-დასაწყობების ინსტრუქციებს; არ ხდებოდა გამოტუტული მადნის გროვების დასაწყობების ტერიტორიის რეკულტივაცია; დასკვნის თანახმად, „შპს „RMG Gold“-ის ხელმძღვანელობა ვალდებულია საწარმოს ტერიტორიაზე აწარმოოს ციან-იონების კონცენტრაციის თვითმონიტორინგი, რათა უზრუნველყოს უსაფრთხო გარემო. მისი მონიტორინგი აუცილებელია შრომის უსაფრთხოების თვალსაზრისით. ციან-იონებს შეუძლია ადამიანის ორგანიზმის ქრონიკული მოწამვლა. მიუხედავად იმისა, რომ იგი სწრაფად დაშლადია, აორთქლების ზედაპირი (გროვების ირიგაცია, გუბურები) იმდენად დიდია, რომ მისი სუნი მთელს ტერიტორიაზე იგრძნობა. ინსპექტირების პროცესში დაფიქსირდა, რომ სუნი გავრცელებულია საწარმოო ტერიტორიაზე და მასალების კამერალური დამუშავებით დადგინდა, რომ **ციან-იონების კონცენტრაციის თვითმონიტორინგი საწარმოო ტერიტორიაზე არ მიმდინარეობს**. ასევე ინსპექტირების პერიოდში, არახელსაყრელ მეტეოროლოგიურ პირობებში (ძლიერი ქარი) გამოსატუტი მოედნის უჭრედებზე ხსნარის დასხურებისას ხდებოდა მისი გავრცელება ქარის მიმართულების შესაბამისად მიმდებარე ტერიტორიაზე“; ინსპექტირებისას გამოვლინდა „RMG Gold“-ის მიერ წიაღით სარგებლობის ფაქტი სათანადო ლიცენზიის გარეშე და არაერთი სხვა დარღვევა.

გარემოსათვის მიყენებული ზიანისა და აღწერილი დარღვევების არანაკლები სიმწვავეთ გამოირჩევა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის სს „RMG Copper“-ზე (ს/კ 225358341) გაცემული გარემოზე ზემოქმედების №000055 ნებართვით გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის გეგმიური შემოწმების (15 დეკემბერი 2015 წელი - 15 მარტი 2016 წელი) ანგარიში. ნებართვის პირობების თანახმად, საწარმოს ხელმძღვანელობა ვალდებულია მდინარეების დაბინძურების თავიდან აცილების მიზნით მოაწყოს ფუჯი ქანების სანაყაროებიდან და კუდსაცავიდან წვიმის წყლებით გამოწვეული ჩამდინარე წყლების შესაგროვებელი დრენაჟები, არხები და გამწმენდი მოწყობილობა. „ინსპექტირების შედეგად დადგინდა, რომ კომპანიას გამწმენდი ნაგებობა საერთოდ არ აქვს მოწყობილი, ხოლო სხვა დანარჩენი ვალდებულება ნაწილობრივ აქვს შესრულებული. კერძოდ:

1. №1 და №2 სანაყაროების ჩამონადენი და გამონაჟონი წყლების შეკრების მიზნით, მდინარე კაზრეთულასთან, კერძოდ, №2 სანაყაროსთან მიწაყრილით მოწყობილია წყალშემკრები დამბა, სადაც გროვდება ნაჟური მჟავე წყლები, თუმცა ჩატარებულმა ლაბორატორიულმა კვლევებმა ცხადყვეს, რომ მოცემული დამბა ვერ უზრუნველყოფს მჟავე კარიერული წყლების სრულყოფილ შეკრებას, **ადგილი აქვს წყლების გამოჟონვას მდინარე კაზრეთულაში** და შესაბამისად უარყოფით გავლენას ახდენს მდინარე კაზრეთულას წყლის ხარისხზე;
2. კარიერამდე მისასვლელ გზაზე, კერძოდ, №1 და №2 სანაყაროების გაყოლებაზე მოწყობილია მიწაყრილის სანიაღვრე არხი. არხის ბოლოში, გზის მარცხენა მხარეს ასევე მიწაყრილით მოწყობილია სანიაღვრე წყლების შემკრები, საიდანაც ძლიერი წვიმების დროს წარმოქმნილი **დაბინძურებული წყლები ლითონის მილის საშუალებით, თვითდენით გადადის გზის მარჯვენა მხარეს არსებულ ფერდობზე და ჩაედინება მდინარე კაზრეთულაში**.
3. №3 და №4 სანაყაროებიდან ჩამონადენი და გამონაჟონი წყლების შეკრების მიზნით, სანაყაროებს მიმდებარედ მოწყობილი არ არის სანიაღვრე სისტემა და წყალშემკრები დამბა. შესაბამისად, აღნიშნული **მჟავე წყლები, ყოველგვარი გაწმენდის გარეშე ჩაედინება სანაყაროებს ძირში არსებულ ხევებში, რომელიც უერთდება მდინარე ფოლადაურს**.
4. კუდსაცავზე მოწყობილია დრენირებული წყლების შემკრები დამბა, რომელიც აღჭურვილია ავარიული მილით. აღნიშნული დამბის გადავსების შემთხვევაში მოსალოდნელია ზედმეტი წყლის თვითდენით გადადინება მიმდებარედ არსებულ ხევში, რომელიც კოლექტორიდან გამოსულ წყალთან ერთად უერთდება მდინარე კაზრეთულას.

5. ლაბორატორიულმა კვლევებმა ცხადყო, რომ კუდსაცავის ძირში დამონტაჟებული მილიდან გამოსულ წყალში ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციასთან შედარებით **მნიშვნელოვნადაა მომატებული მაგნიუმი, კალციუმი, სულფატები. ასევე ბრომი და ამონიუმი**“.

2018 წლის 2 აპრილს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი კაზრეთში იმყოფებოდა, სადაც კომპანია RMG Copper-ისა და RMG Gold-ის წარმომებს ადგილზე გაეცნო<sup>18</sup>. მინისტრის ვიზიტის შესახებ სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ შეტყობინებაში აღნიშნული იყო: „გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სხვადასხვა უწყების თანამშრომლები გაეცნენ RMG-ის საქმიანობას. 2015-16 წლებში ჩვენი შემოწმების შედეგად რამდენიმე მიმართულებით იყო დარღვევები გამოვლენილი. მნიშვნელოვანია, რომ ის დარღვევები გამოსწორდეს და სწორედ ამ ღონისძიებებზე გვექონდა საუბარი. უშუალოდ ჩვენი თვალთვალ გვინდოდა გვენახა თუ სად არის კრიტიკული წერტილები, პრობლემები და როგორ იქნება კომპანიის მიერ გამოსწორების მექანიზმები, როგორი იქნება გონივრული ვადები და ამაზე სპეციალისტებთან ერთად შევჯერდებით.“ - განაცხადა ლევან დავითაშვილმა. კომპანიის აღმასრულებელი ხელმძღვანელის ჯონი შუბითიძის განცხადებით, RMG-ის შემუშავებული აქვს გარემოსდაცვითი სამოქმედო გეგმა, რომლის შედეგაშვიც საერთაშორისო კომპანია [Golder Associates](#)-ი იყო ჩართული“.

მწვანე ალტერნატივამ სამინისტროდან გამოითხოვა ზემოხსენებული გეგმა. როგორც გაირკვა, RMG Copper-ს მომზადებული ჰქონდა დოკუმენტი სახელწოდებით “მოკლევადიანი და გრძელვადიანი სამოქმედო გეგმა, 2018წ.“, რომელშიც აღწერილი იყო 2016 წელს საწარმოს გეგმიური შემოწმების შედეგად გამოვლენილ დარღვევებზე რეაგირებისათვის დაგეგმილი ღონისძიებები. არც დოკუმენტის ხარისხი და არც შინაარსი არ მიუთითებს მის მომზადებაში Golder Associates-ის მონაწილეობას.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ მოწოდებული<sup>19</sup> ინფორმაციის თანახმად, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ სს RMG Copper-ის მიმართ 2018 წლის 13 მარტს შემუშავებული დეპარტამენტის №000904 ადმინისტრაციული მიწერილობით განსაზღვრულ ვადაში დადგინილი ვალდებულებებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგინილი ნორმების შესრულების მდგომარეობის არაგეგმიური შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ საწარმოს არ ჰქონდა შესრულებული მიწერილობით განსაზღვრულ ვადაში დადგინილი რიგი ვალდებულებები. კერძოდ:

1. კომპანიის მიერ შემუშავდა „ავარიული სიტუაციების მართვის გეგმა“, რომელშიც სრულყოფილად არ იყო გათვალისწინებული სამინისტროს შენიშვნები, კერძოდ, „ფეთქებადი მასალის სასაწყობე არეალში მიმდინარე ოპერაციებისათვის საგანგებო, ავარიული და კრიტიკული ვითარებების პრევენციისა და მართვის დოკუმენტი“ არ იყო შეთანხმებული შესაბამის სამსახურთან;
2. მიწერილობის მე-6 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულება არ იყო სრულყოფილად შესრულებული. კერძოდ:
  - ინსპექტირებისას დადგინდა, რომ №4 სანაყაროს მიმდებარედ გამონაჟონი წყლების ორგანიზებული მართვისთვის, „მოკლევადიანი და გრძელვადიანი სამოქმედო გეგმის“ და „მოკლევადიანი და გრძელვადიანი წყალდაცვითი ღონისძიებათა გეგმის“ შესაბამისად არ იყო მოწყობილი შესაბამისი ინფრასტრუქტურა, გეგმებით განსაზღვრულ ვადაში (სანაყაროების მიმდებარედ გამონაჟონი წყლების ორგანიზებული მართვისთვის ინფრასტრუქტურის მოწყობის ვადა 06.2018-08.2018წ. დროებითი სალექარის განთავსება №4 სანაყაროს მიმდებარედ, მოწყობის ვადა 07.2018-08.2018წ.) კერძოდ:
    - ინსპექტირების შედეგად დადგინდა, რომ დროებითი სალექარი და მასთან მისასვლელი გზა არ იყო მოწყობილი. შესაბამისად, №4 სანაყაროდან გამონაჟონი წყლები ხვდება მშრალ ხევში, რომელშიც ჩაედინება მხოლოდ სანაყაროდან

<sup>18</sup> 02 აპრილი 2018 | კომპანია RMG-ის წარმომებს ლევან დავითაშვილი გაეცნო

<sup>19</sup> გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2020 წლის 23 დეკემბრის N 12353/01 წერილი

გამოსული ნაჟური წყლები და რაიმე სხვა ბუნებრივი შენაკადი არ გააჩნია. ინსპექტირების შედეგად გამოვლინდა №4 სანაყაროს ძირში, მშრალი ხევის ფერდებზე და მის მიმდებარედ №4 სანაყაროდან გამონაჟონი წყლების ჩამოდინების და ტერიტორიაზე გავრცელების ფაქტი. ასევე, დაფიქსირდა ნაჟური წყლების გუბეები;

- ინსპექტირების შედეგად დადგინდა, რომ №3 სანაყაროდან გამომავალი ნაჟური წყლების მართვისათვის, კომპანიის მიერ შემუშავებულ „მოკლევადიანი და გრძელვადიანი სამოქმედო გეგმით“ განსაზღვრულ ვადაში (დროებითი სალექარის განთავსება, ვადა -09.2018-11.2018წ. პერიოდი) არ იყო განხორციელებული დროებითი სალექარის მოწყობის სამუშაოები. ინსპექტირების პერიოდში მიმდინარეობდა სალექარის მოწყობის სამუშაოები;
3. მიწერილობის მე-8 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში არ განხორციელდა სამინისტროსთან „ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზღჩ) ნორმების პროექტის“ შეთანხმება;
  4. მიწერილობის მე-9 პუნქტის 9.2 ქვეპუნქტით განსაზღვრული ვალდებულება არ იყო შესრულებული. კერძოდ, კომპანიას ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან 2 თვის ვადაში სამინისტროსთან არ ქონდა შეთანხმებული ლაბორატორიული ანალიზების ჩატარების მეთოდები;
  5. მიწერილობის მე-9 პუნქტის 9.4 ქვეპუნქტით განსაზღვრული ვალდებულება სრულად არ იყო შესრულებული. კერძოდ, „მოკლევადიანი და გრძელვადიანი სამოქმედო გეგმის“ შესაბამისად, სს „RMG Copper“-ის 2019 წლის აპრილიდან უნდა დაეწყო ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის მოწყობის სამუშაოები, შესაბამისი პროცედურების გავლის შემდგომ. ინსპექტირების შედეგად დადგინდა, რომ კომპანიამ **გამწმენდი ნაგებობის მოწყობის სამუშაოები დაიწყო შესაბამისი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებამდე (2018 წლის 26 დეკემბრიდან)**. ასევე, ინსპექტირების პროცესში, ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის მიმდებარედ, დაფიქსირდა სანარმოს ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე-ფეკალური წყლებით ტერიტორიის დაბინძურების ფაქტი და რომელიც ღია არხის საშუალებით ჩაედინებოდა სალექარების სამსაფეხურიან კასკადში, შემდგომ მდ. კაზრეთულაში;
  6. მიწერილობის მე-9 პუნქტის 9.10 ქვეპუნქტის განსაზღვრული ვალდებულება არ იყო შესრულებული მიწერილობით დადგენილ ვადაში. კერძოდ, სს „RMG Copper“-მა **2018 წლის 16 ივნისამდე არ შეიმუშავა გარემოსდაცვითი მონიტორინგის პროგრამა**.
  7. მიწერილობის მე-18 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულება არ იყო სრულყოფილად შესრულებული. კერძოდ, სს „RMG Copper“ ადმინისტრაციული მიწერილობის შესაბამისად, ვალდებული იყო დაუყოვნებლივ დაეწყო და 2018 წლის 31 დეკემბრამდე განხორციელებინა შესაბამისი ღონისძიებები მდ. კაზრეთულას დაბინძურებისაგან დაცვის მიზნით. ამავდროულად, კომპანიის მიერ შემუშავებული „მოკლევადიანი და გრძელვადიანი სამოქმედო გეგმის“ შესაბამისად, რომელშიც განსაზღვრულია მე-18 პუნქტის შესრულებისათვის საჭირო ღონისძიებები, კომპანიას ევალუბოდა მათ შორის №1 და №2 სანაყაროების მიმდებარედ და კარიერზე მისასვლელი გზის მონაკვეთზე, 2018 წლის 31 დეკემბრამდე, ორგანიზებული არხების (კიუვეტების მსგავსი) მოწყობა, რომელიც შეაგროვებდა წვიმის დროს წარმოქმნილ წყალს და ორგანიზებულად მიმართავდა მდ. კაზრეთულას ქვემო წელში, სპეციალურად მოწყობილ აგების კასკადებში. ინსპექტირების პროცესში დაფიქსირდა ე.წ არხები, რომლებიც არსებობდა 2016 წლამდე (აღნიშნული არხები ასევე დაფიქსირდა კომპანიაში 2015-16წწ. ჩატარებული ინსპექტირების შედეგად). ამასთან, ინსპექტირების შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნული არხები სხვადასხვა მონაკვეთზე ამოვსებულია ინერტული მასალით და შესაბამისად, ვერ ხდება მოცემულ პერიმეტრზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების გატარება, ხოლო ახალი, ორგანიზებული არხები (კიუვეტების მსგავსი), რომლებიც უზრუნველყოფდა წვიმის დროს წარმოქმნილი წყლების შეგროვებას და მდ. კაზრეთულას ქვემო წელში სპეციალურად მოწყობილ აგების კასკადებში ორგანიზებულ ჩადინებას არ არის მოწყობილი.

ადმინისტრაციული მიწერილობით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების შემონგებისას ასევე გამოვლინდა მინისტრის 2019 წლის 7 ივლისის №2-626 ბრძანებით „ბოლნისის მუნიციპალიტეტში დაბა კაზრეთში სს „RMG Copper“-ის მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების“ პროექტზე გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების პირობების დარღვევაც. კერძოდ: სს „RMG Copper“ საქმიანობას არ ახორციელებდა მინისტრის 2019 წლის 7 ივლისის №2-626 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მე-4 პირობის შესაბამისად. კერძოდ, არ იყო შესრულებული დეპარტამენტის 2018 წლის 13 მარტის №000904 ადმინისტრაციული მიწერილობით განსაზღვრული გასატარებელი ღონისძიებები. კერძოდ, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2018 წლის 13 მარტის №1971/01 წერილის პირველი, მე-6, მე-8 პუნქტები, მე-9 პუნქტის 9.2, 9.4 და 9.10 ქვეპუნქტები, ასევე მე-18 პუნქტი; ამასთან, ინსპექტირების შედეგად გამოვლინდა სს „RMG Copper“-ის მიერ გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული საქმიანობის ამავე კოდექსით განსაზღვრული შესაბამისი გადაწყვეტილების გარეშე საქმიანობის ფაქტი. კერძოდ:

8. კომპანიის მიერ გამამდიდრებელი ფაბრიკის მე-III სექციაზე, ახალი ხაზი დამონტაჟდა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებამდე. კერძოდ: მოეწყო ოქრო-პოლიმეტალური მადნის გადამუშავებისათვის 5 ერთეული საფლოტაციო კამერა, საფილტრ-საშრობ განყოფილებაში მოეწყო 2 ცალი ახალი ფილტრი და მიმდინარეობდა გამამდიდრებელი ფაბრიკის მიმდებარედ 2 შემასქელებელი რეზერვუარის სამონტაჟო სამუშაოები;
9. სს „RMG Copper“-მა ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის მოწყობის სამუშაოები დაიწყო შესაბამისი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გარეშე (2018 წლის 26 დეკემბრიდან); კომპანიის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების გარეშე დაწყებულია 100 000 მ<sup>3</sup> მოცულობის, მე-3 სანაყაროდან დრენირებული წყლის დაგროვების მიზნით სათანადო ნაგებობის (რეზერვუარის) მოწყობის/მშენებლობის სამუშაოები;

ინსპექტირების შედეგად ასევე გამოვლინდა სს „RMG Copper“-ის მიერ ნარჩენების მართვის კოდექსით დადგენილი მოთხოვნების დარღვევის ფაქტი. კერძოდ:

1. ინსპექტირებისას დადგინდა, რომ სს „RMG Copper“-ის, საქართველოს მთავრობის №144 დადგენილების შესაბამისად, ნარჩენების შეგროვება/ტრანსპორტირებაზე ნარჩენების მართვის ელექტრონულ სისტემაში საქმიანობის რეგისტრაცია გავლილი არ აქვს, თუმცა, დადგინდა, რომ ახორციელებდა სახიფათო ნარჩენების (მწობრიდან გამოსული აკუმულატორების) ტრანსპორტირებას, შპს „აკას ჯორჯია“-ზე გადაცემის მიზნით. ასევე, ახორციელებს პლასტმასის ნარჩენების ტრანსპორტირებას შპს „L.M.Y.“-ზე გადაცემის მიზნით;
2. ინსპექტირებისას დადგინდა, რომ სახიფათო ნარჩენების დროებითი განთავსების ობიექტზე, რომელზეც გავლილი აქვს რეგისტრაცია, კომპანიას განთავსებული აქვს სახიფათო ნარჩენები, რომელიც არ არის მოცემული ნარჩენების მართვის ელექტრონულ სისტემაში დაფიქსირებულ საქმიანობის რეგისტრაციის არცერთ განაცხადში. კერძოდ, 170505\* (გრუნტი, რომლებიც შეიცავს სამიუ ქიმიურ ნივთიერებებს) და 161105\* (მოსაპირკეთებელი მასალა და ცეცხლგამძლე ნარჩენები არა მეტალურგიული პროცესებიდან, რომელიც შეიცავს სახიფათო ნივთიერებებს) კოდით განსაზღვრული ნარჩენები; მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, კომპანიას არ მიუმართავს სამინისტროსთვის რეგისტრაციაში ცვლილების შეტანის მიზნით;
3. სს „RMG Copper“-ის კუთვნილ სანარმოში ზოგიერთ სანარმოო უბანზე დაფიქსირდა სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების ერთმანეთში აღრევის ფაქტი;
4. სს „RMG Copper“ სანარმოს ექსპლუატაციისას წარმოქმნილი ნარჩენების (რემინის შემცველი ჯართისა და მიწით გაბიდნული მილების, ასევე ფერადი ლითონის ნარჩენების - ჯართის) გადაცემას არ ახორციელებს კანონმდებლობის შესაბამისად, შესაბამისი საქმიანობის რეგისტრაციის მქონე ორგანიზაციაზე. კერძოდ, დადგინდა, რომ შპს „ობომოტორი“-ს არ აქვს გავლილი საქართველოს მთავრობის №144 დადგენილების შესაბამისად, ნარჩენების შეგროვება/ტრანსპორტირებაზე



ნარჩენების მართვის ელექტრონულ სისტემაში საქმიანობის რეგისტრაცია. ასევე, დადგინდა, რომ არ ქონდა გავლილი საქმიანობის რეგისტრაცია ნარჩენების შეგროვება/ტრანსპორტირებაზე, ნარჩენების მართვის ელექტრონულ სისტემაში შპს „კრიალა“-ს, რომელიც ახდენს სს „RMG Copper“-ის საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ქაღალდის ნარჩენების გატანას.“

სამინისტროს ინფორმაციით, „გემოაღნიშნულ დარღვევებზე დეპარტამენტის შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმები, რომლებიც ინსპექტირების ამსახველ მასალებთან ერთად, განსახილველად გადაიგზავნა ბოლნისის რაიონულ სასამართლოს. ბოლნისის რაიონულმა სასამართლომ, 2020 წლის 10 თებერვლის №4/ა-152-19 დადგენილებით სს „RMG Copper“ სცნო სამართალდამრღვევად ნარჩენების მართვის კოდექსის მე-40-ე მუხლის მესამე ნაწილით, ასევე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებაში და შეუფარდა ჯარიმა 8000 ლარის ოდენობით. აღნიშნული დადგენილება შესულია კანონიერ ძალაში.

ამასთან, სასამართლომ, 2020 წლის 20 მარტის №4/ა-154-19 დადგენილებით სს „RMG Copper“ სცნო ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79<sup>2</sup> მუხლის შენიშვნის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ და 79<sup>8</sup> მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებაში და შეუფარდა ჯარიმა 15 000 ლარის ოდენობით. სს "RMG Copper"-ის მიერ აღნიშნული დადგენილება გასაჩივრდა თბილისის სააპელაციო სასამართლოში. სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 19 ივნისის №4-ა-162-20 დადგენილებით, დაკმაყოფილდა სს "RMG Copper"-ის საჩივარი და საქმე დაბრუნდა პირველ ინსტანციაში ხელახალი განხილვისათვის. **ამჟამად საქმე განხილვის პროცესშია.**

რაც შეეხება 2020 წლის განმავლობაში ჩატარებულ შემოწმებებს, სამინისტროს ინფორმაციით, „ 2020 წლის 31 ივლისს, დეპარტამენტის უფლებამოსილი პირების მიერ განხორციელდა ჩამდინარე წყლის სინჯების აღება ბოლნისის მუნიციპალიტეტში, სს "RMG copper"-ის კუთვნილი საწარმოს მიმდებარედ. კერძოდ, სს "RMG copper"-ის მე-4 სანაყაროდან გამომავალი წყლის, მდინარე ფოლადაურთან შეერთების წერტილში და სს „RMG Copper“-ის მეოთხე სანაყაროს სამონიტორინგო წერტილში. ადგილზე შედგა დათვალიერების შესახებ ინსპექტირების აქტი №005593. წყლის ნიმუშები, შემდგომი ლაბორატორიული კვლევისათვის, 2020 წლის 4 აგვისტოს №DES72000044863 წერილით გადაეგზავნა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს.

როგორც სააგენტოს №101-2020 და №101ა-2020 გამოცდის ოქმების შესაბამისად დადგინდა, კომპანიის მიერ ზედაპირული წყლის ობიექტში - მდ. ფოლადაურში ჩამდინარე წყლებთან ერთად **ჩაშვებული დამაბინძურებელი ნივთიერებების კონცენტრაცია აღემატებოდა მღვრულად დასაშვებ ნორმებს.** აღნიშნულიდან გამომდინარე, დეპარტამენტის უფლებამოსილი პირის მიერ, სს „RMG Copper“-ის მიმართ 2020 წლის 17 სექტემბერს შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №059355 ოქმი, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 798 -ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ სამართალდარღვევაზე. აღნიშნული ოქმი, საქმის მასალებთან ერთად, დეპარტამენტის 2020 წლის 29 სექტემბრის №DES92000054198 წერილით განსახილველად გადაიგზავნა ბოლნისის რაიონულ სასამართლოში. **დღეს არსებული მდგომარეობით, საქმე განხილვის პროცესშია“.**

ასევე, სამინისტროს ინფორმაციით „2020 წლის 9 ნოემბრიდან 2020 წლის 4 დეკემბრის ჩათვლით განსაზღვრული იყო შპს „RMG Gold“-ის კუთვნილი „საყდრისის“ გროველი გამოტუტვის საწარმოო უბნის ექსპლუატაციისა და ექსპლუატაციის პირობების შეცვლაზე - მოედნების გაფართოებაზე (სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება), 2019 წლის 23 იანვარს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის №2-71 ბრძანებით დამტკიცებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით დადგენილი ვალდებულებებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის გეგმიური შემოწმება. თუმცა, კომპანიაში კორონავირუსის გავრცელების გამო

დეპარტამენტის უფროსის №DES1200000324 ბრძანებით დროებით შეჩერდა 2020 წლის 5 ნოემბრის №DES8200000321 ბრძანების ვადის დინება“.

სამინისტროს მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციას თან ახლავს გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ „მედაპირულ წყლებზე ჩატარებული გეგმიური მონიტორინგის დროს დაფიქსირებულ ნორმაზე განსაკუთრებით მაღალი გადაჭარბების შემთხვევები“ 2020 წლის ივნისსა და ივლისში:

ინგრედიენტი	პუნქტები	მიღებული შედეგი	ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია (ზღვ)	2020 წლის ივნისი (ნორმაზე გადაჭარბება)
კადმიუმი	კაზრეთულა-კაზრეთი	0,0182 მგ/ლ	0.001 მგ/ლ	18 ზღვ
მანგანუმი	კაზრეთულა-კაზრეთი	1,4442 მგ/ლ	0.1 მგ/ლ	14,2 ზღვ

ინგრედიენტი	პუნქტები	2020 წლის ივლისი გადაჭარბება	ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია (ზღვ)	2020 წლის ივლისი (მაქსიმალური მნიშვნელობა)
კადმიუმი	კაზრეთულა-კაზრეთი	12,3 ზღვ (0,0123 მგ/ლ)	0.001 მგ/ლ	12,3 ზღვ (0,0123მგ/ლ)
მანგანუმი	კაზრეთულა-კაზრეთი	10,6 ზღვ (1.0693 მგ/ლ)	0.1 მგ/ლ	10,6 ზღვ (1.0693მგ/ლ)

ამ ეტაპზე არ ვფლობთ ინფორმაციას წყლის დაბინძურების საგანგაშოდ მაღალი მაჩვენებლებზე სამინისტროს მიერ მიღებული ზომებისა და სხვა დროს დაბინძურების მაჩვენებლების შესახებ.

## გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტთან არსებული სამუშაო ჯგუფი

2018 წლის 13 ივნისს კახაბერ კუჭავას, ამჟამად უკვე როგორც საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის, განკარგულებით შეიქმნა „სამუშაო ჯგუფი, რომელიც შეისწავლის კომპანიების: „RMG Gold“-ისა და „RMG Copper“-ის მიერ, სამთო-მოპოვებითი სამუშაოების წარმოების პროცესში გარემოზე მიყენებულ ზიანს“. სამუშაო ჯგუფის დასკვნის საფუძველზე, კომიტეტის თავმჯდომარემ 2018 წლის 15 ივნისს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობისა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრებს მიმართა. მიმართვაში აღნიშნულია, რომ „გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი მიზანშეწონილად მიიჩნევს:

1. საბადოების არსებული მეთოდოლოგიით და პრაქტიკით დამუშავების გაგრძელება და ახალი სამუშაოების დაწყება სხვა საბადოებზე, გაზრდის დაბინძურების დონესა და მის არეალს ქვემო ქართლის რეგიონში. შესაბამისად, ეკონომიკის სამინისტროს სსიპ „წიაღის ეროვნულმა სააგენტო“-მ არ უნდა მისცეს კომპანიას უფლება ბნელი ხევის ტერიტორიაზე დაიწყო ახალი საბადოს დამუშავება, ვიდრე არ დაფინანსავთ კომპანიის ნებას და რეალურ ქმედებებს არსებული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. სავალდებულოა კომპანიების, „RMG Gold“ - ისა და „RMG Copper“- ის მიერ, შესრულდეს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ განსაზღვრული სამოქმედო გეგმა.
2. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ უზრუნველყოს კოორდინაცია დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრთან ერთად, ბოლნისის რეგიონში მოსახლეობის ეპიდემიოლოგიური კვლევების განსახორციელებლად.
3. სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განახორციელოს კომპანიების „RMG Gold“ - ისა და „RMG Copper“- ის ტერიტორიაზე განლაგებული ძველი (ისტორიული) კუდსაცავების მდგრადობის შემსწავლელი სეისმოლოგიური კვლევები“.

მიმართვაზე პასუხად, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ კომიტეტს აცნობა, 1. „რომ ლიცენზიის შეჩერების ნაწილში გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო კომპეტენციის ფარგლებში ვერ იმსჯელებს“; 2. გარემოს ეროვნულმა სააგენტომ **მზადყოფნა გამოთქვა** განახორციელოს გარემოს დაბინძურების მონიტორინგი დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრთან ერთად; 3. ხოლო რაც შეეხება სეისმოლოგიური კვლევების ჩატარებას, მინისტრის ინფორმაციით, ესეც „სცილდება სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს კომპეტენციას“.

სამინისტრომ კომიტეტის თამჯდომარის მიმართვას არ გამოეხმაურა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

2018 წლის 2 აგვისტოს წერილით სსიპ ლ. საყვარელის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულმა ცენტრმა ასევე **გამოთქვა მზადყოფნა** „ჩაერთოს კომპეტენციის ფარგლებში სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოსთან ერთად, რათა განხორციელდეს ბოლნისის რეგიონში მოსახლეობის ეპიდემიოლოგიური კვლევები ადამიანის ჯანმრთელობაზე გარემოს მაგნიტური ზემოქმედების შეფასების მიზნით“.

სამწუხაროდ, პარლამენტის ვებ-გვერდზე აღარ არის ხელმისაწვდომი სამუშაო ჯგუფის საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტების დიდი ნაწილი (ბმულები აღარ მუშაობს), მაგრამ ხელმისაწვდომია [„ქვემო ქართლის რეგიონში გარემოს დაბინძურების შემსწავლელი სამუშაო ჯგუფის 2018-2019 წლების მონიტორინგის ანგარიში“](#).

2020 წლის 23 მარტს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის ახალი თავმჯდომარის, მაია ბითაძის ინიციატივით, ქვემო ქართლის რეგიონში გარემოს დაბინძურების შემსწავლელი სამუშაო ჯგუფის გასვლითი შეხვედრა გაიმართა სს „RMG Copper“-ისა და შპს „RMG Gold“-ის წარმომადგენლებთან.

საქართველოს პარლამენტის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ იქნა ინფორმაციის თანახმად, „ვიზიტის ფარგლებში, კომიტეტის თავმჯდომარემ, თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, კომიტეტის წევრმა ალექსანდრე დალაქიშვილმა და სამუშაო ჯგუფის წევრებმა ადგილზე დაათვალიერეს „RMG Copper“-ისა და „RMG Gold“-ის საწარმოო ტერიტორიები და დეტალურად გაეცნენ მიმდინარე საწარმოო პროცესებს, ბოლო წლების განმავლობაში ჩატარებულ სამუშაოებს, მოინახულეს რეკულტივაციისა და შესაბამისი წყალშემკვრები ნაგებობები, გაეცნენ ჰაერის დაბინძურებისა და ამტვერების პრევენციის მიზნით განხორციელებულ სამუშაოებს, რაც მათი შეფასებით წინგადადგმული ნაბიჯია, რათა გარემოსდაცვითი და ეკოლოგიური მდგომარეობა გაუმჯობესდეს.

„რეალურად ხელშესახებია ის შედეგები, რაც სამუშაო ჯგუფის, კომპანია „არემქისა“ და საქართველოს ხელისუფლების ერთობლივი მუშაობის შედეგად გაკეთდა რეგიონში, რეალური ცვლილებებია საწარმოო ციკლისა და საწარმოო პროცესის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. დაწყებულია ტერიტორიის მასშტაბური რეკულტივაციის სამუშაოები, ასევე, საკმაო ღონისძიებებია გატარებული როგორც წყლის დაბინძურების, ასევე, ჰაერის დაბინძურების პრევენციის კუთხით. თუმცა, რჩება საკითხები, რომლებიც კვლავ მოსაწესრიგებელია, მაგრამ კომიტეტი მიესალმება, რომ კომპანიისა და სამუშაო ჯგუფის ერთობლივი მუშაობისა და მონდომების შედეგად ის სტანდარტები, რომელთაც კომპანია გარემოსდაცვითი მიმართულების კუთხით წერგავს, უფრო ამაღლდება, გაძლიერდება და ეს ძალიან მნიშვნელოვანია, როგორც ადგილზე ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნებისთვის, ასევე რეგიონში არსებული კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ძეგლების უსაფრთხოების თვალსაზრისით“, - განაცხადა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარემ, მაია ბითაძემ.

...სამუშაო ჯგუფის წევრის, საყდრისის კომიტეტის წარმომადგენლის, ნინო ბურჭულაძის თქმით, რეგიონში არსებული კოვიდსიტუაციის მიუხედავად, სამუშაო ჯგუფის ძალისხმევით კომპანიამ შეძლო საქართველოს

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ **დაკისრებული ვალდებულებების უმრავლესობის შესრულება.**

მწვანე პოლიტიკის საზოგადოებრივი პლატფორმის წევრის, ნიკოლოზ წიქარიძის განცხადებით, კომპანიის მუშაობაში **მნიშვნელოვანი პროგრესი შეიმჩნევა** გარემოსდაცვითი ვალდებულებების შესრულების მიმართულებით, თუმცა მისი თქმით, ბევრი ღონისძიება ჯერ კიდევ არ არის დასრულებული, შესრულების პროცესშია და სამუშაო ჯგუფი მუდმივ მონიტორინგს გაუწევს მათ მიმდინარეობას.

გარემოს დაცვის საკითხებში კომპანია „არემჯის“ დირექტორის მოადგილის, ალექსანდრე დევიძის განცხადებით: „არემჯი“ ჯგუფში შემავალი კომპანიები წარმატებით ახორციელებენ გარემოსდაცვით ღონისძიებებს. **„არემჯი გოლდისტვის“ და „არემჯი კოპერისტვის“ განსაზღვრული იყო 97 ღონისძიების განხორციელება ამ მიმართულებით, დღეისთვის 95 უკვე შესრულებულია,** და ამ დროისთვის, გარემოსდაცვითი ღონისძიებებისთვის დახარჯულმა თანხამ შეადგინა 26 მლნ ლარი. მუშაობა ამ მიმართულებით კვლავაც გრძელდება და ჩვენ ამ ფორმატში ისევ გავაგრძელებთ თანამშრომლობას პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტთან და მასთან არსებულ სამუშაო ჯგუფთან“<sup>20</sup>.

კომპანიის პროგრესის ეს შეფასებები რთულად მოდის თანხვედრაში გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ მოწოდებულ (გემოთმთყვანად) ინფორმაციასთან. თუმცა, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის ახალმა თავმჯდომარემ დაგვიამბა, რომ წინა მოწვევის პარლამენტში შექმნილი სამუშაო ჯგუფი, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის გადანაცვლებით X მოწვევის პარლამენტის ფარგლებშიც განაგრძობს მუშაობას და სისტემატურ მონიტორინგს უწევს მომპოვებელი კომპანიების საქმიანობას გარემოსდაცვითი ვალდებულებების შესრულების მიზნით.

## გარემოზე ზემოქმედების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

საწარმოების გარემოზე ზემოქმედების შესახებ არსებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით ერთი წლის განმავლობაში არაფერი შეცვლილა.

კომპანიის **ვებ-გვერდზე** კვლავაც არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ, საწარმოების საქმიანობით გარემოსთვის მიყენებული ზიანისა და მისი შემსუბუქებისთვის დაგეგმილი და/ან მიმდინარე ღონისძიებების შესახებ. საწარმოების საქმიანობის შედეგად ადგილობრივი ბუნებრივი და სოციალური გარემოსათვის ზიანის მიყენების საფრთხეების და ამ საფრთხეების თავიდან აცილებისათვის გატარებული და/ან გასატარებელი ღონისძიებების შესახებ. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ გასულ წელთან შედარებით კომპანიის ვებ-გვერდმა მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. ვებ-გვერდზე გაჩნდა განყოფილება - „საჯარო ინფორმაცია“. ჯერ-ჯერობით უცნობია რა ტიპის ინფორმაციის განთავსებას გეგმავს კომპანია ამ განყოფილებაში, ვინაიდან გვერდი სატესტო რეჟიმში მუშაობს და ეს განყოფილებაც არ არის აქტიური. ასევე, განსხვავებული ინფორმაცია განთავსდა სათაურის ქვეშ - „გარემოს დაცვა“. კერძოდ კი, აღნიშნულია:

„სამთომოპოვებითი სამუშაოებისა და წიაღისეულის გადამუშავებისას „არემჯის“ მმართველი გუნდი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს გარემოს დაცვის სფეროში არსებული ადგილობრივი და საერთაშორისო სტანდარტების დაცვას.

<sup>20</sup> გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტთან არსებული სამუშაო ჯგუფის გასვლითი შეხვედრა ქვემო ქართლში, 23 მარტი 2021

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიწერილობის საფუძველზე, „არემჯის“ მიერ გარემოსდაცვითი პროექტებისა და ღონისძიებების განსაზღვრულ ვადაში შესრულების კონტროლს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ახორციელებს. ამასთან, გარემოსდაცვითი პროექტების შესრულების მონიტორინგს ახორციელებს საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტთან არსებული ქვემო ქართლის რეგიონში გარემოს დაბინძურების შემსწავლელი სამუშაო ჯგუფი (ორგანიზაცია „მწვანე პოლიტიკის საზოგადოებრივი და სამეცნიერო – კვლევითი პლატფორმები“ და „საყდრისის კომიტეტი კულტურული მემკვიდრეობისთვის“).

„არემჯი“ მაქსიმალურად უსაფრთხო სამუშაო გარემოს ქმნის თანამშრომლების, კონტრაქტორებისა და ადგილობრივი მოსახლეობისათვის. სამთომოპოვებით სფეროში კომპანია გარემოზე მინიმალური ზემოქმედებით და უსაფრთხოდ ოპერირებს.

კომპანია ყოველწლიურად აგრძელებს გარემოსდაცვით პროგრამებს, ნერგავს ახალ, თანამედროვე გარემოსდაცვით ტექნოლოგიებს და ამ მიმართულებით საქართველოში არსებულ სამთომოპოვებით კომპანიათა შორის საუკეთესო შედეგი აქვს.

განსაზღვრული მიზნების მიღწევისას და ღონისძიებების განხორციელებისას „არემჯის“ მმართველი გუნდი ყოველთვის იცავს გარემოსდაცვითი პოლიტიკის პრინციპებს და ამ პროცესში თითოეული თანამშრომლისგან მხარდაჭერას მოითხოვს“.

აქვე მოყვანილია ქმედებების (უცნობია დაგეგმილი, თუ მიმდინარე) ჩამონათვალი გარემოს სხვადასხვა კომპონენტებთან მიმართებაში:

#### „ჰაერი

- საავტომობილო და შიდა კარიერული გზების სისტემატური მორწყვა;
- აირმტვერდამჭერი სისტემებით ოპერირება დახურულ სივრცეებში;
- ღია სივრცეებში წყლის გამშხეფი სისტემებით ოპერირება;
- ატმოსფერული ჰაერის სისტემატური ლაბორატორიული კვლევა.

#### წყალი

- მდინარის წყლების დაბინძურებისაგან დასაცავად სანარმოო წყლების მართვა;
- ქიმიური გამწმენდი სადგურის საშუალებით სანიაღვრე და ჩამდინარე წყლების წმენდა;
- სადრენაჟო, სალექარი და საავარიო რეზერვუარების სისტემების ოპერირება;
- ბიოლოგიური სადგურის საშუალებით სამეურნეო-საყოფაცხოვრებო წყლის წმენდა;
- წყლის სისტემატური ლაბორატორიული კვლევა.

#### ნიადაგი

- მწვანე საფარის აღდგენის მიზნით სანერგე მეურნეობის მოწყობა;
- ღია ტიპის კარიერებისა და სანაყაროების ეტაპობრივი რეკულტივაცია საერთაშორისო სტანდარტებით;
- სახიფათო ნარჩენების მართვა.

#### ბიომრავალფეროვნება

- მონიტორინგის პროგრამის შესაბამისად სანარმოს ტერიტორიის მიმდებარედ ხის სახეობებზე დაკვირვების და მობინადრე ინდივიდებზე დაკვირვება/კვლევის ჩატარება;
- მონიტორინგის შედეგებიდან გამომდინარე დამატებითი შემარბილებელი ღონისძიებების ან/და საკომპენსაციო ღონისძიებების შემუშავება-განხორციელება;

- ყოველწლიურად ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის ანგარიშის საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარდგენა.

#### ნარჩენების მართვა

- ნარჩენების მართვა მიმდინარეობს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებული ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად;
- ნარჩენების შეგროვება ხდება სეპარირებულად, შესაბამისად გამოყოფილ ბუნკერებში;
- კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად მოწყობილია ნარჩენების დროებითი განთავსების მოედნები;
- ტერიტორიიდან ნარჩენების გატანა/გადამუშავებას უზრუნველყოფენ შესაბამისი ნებართვის მქონე კონტრაქტორი კომპანიები;
- კომპანიაში განსაზღვრულია ნარჩენების მართვაზე პასუხისმგებელი პერსონალი და პერსონალი უზრუნველყოფილია სპეციალური ტანსაცმლით და ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით;
- ნარჩენები შესაძლებლობისამებრ გამოყენებულია ხელმეორედ<sup>21</sup>.

ამავე განყოფილებაში გამოქვეყნებულია [ვიდეო რგოლი](#) სათაურით „ფარგას დაბრუნება საქართველოში“. ვიდეო-რგოლში ჩანს თუ როგორ ულოცავს საზოგადოებას საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი „გადაშენებული სახეობის მაშავრაში დაბრუნებას“.

აქვე განთავსებული ტექსტის თანახმად, „2018 წლიდან, გარემოსდაცვითი პროგრამის ფარგლებში, „არემჭიმ“ არაერთი პროექტი განახორციელა. საქართველოში ფარგის დაბრუნება ყველაზე მნიშვნელოვანი და წარმატებული პროექტია.

„არემჭიმ“ და ჟურნალ „ველური ბუნების“ თანამშრომლობის შედეგად საქართველოს მდინარეებსა და ტბებში იქთიოფაუნის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი – ფარგა (*Lucioperca* – ქორჭილასებრთა ოჯახი) დაბრუნდა. ამ პროექტზე 2019 წლის დასაწყისიდან **არაერთი მეცნიერი, საერთაშორისო ფონდი თუ უცხოელი ექსპერტი მუშაობდა**, რამაც საბოლოო ჯამში შესაძლებელი გახადა, აზერბაიჯანიდან საქართველოში ცოცხალი თევზის ლეგალურად გადმოყვანის პირველი პრეცედენტი შექმნილიყო.

თავდაპირველად რამდენიმე ათასი ფარგის ლიფსიტა გადაეცა საქართველოს „ველური ბუნების ეროვნულ სააგენტოს“, რათა ქართველ და აზერბაიჯანელ იქთოლოგებს მოეხდინათ დაკვირვება და მოცდილების გამზარება.

პროექტის მე-2 ეტაპზე, ფარგის რეინტროდუქციის გრძელვადიანი წარმატებისათვის, საქართველოში დამატებით შემოიყვანეს ე.წ. „სადედე ჯგუფი“, რაც საქართველოს მდინარეებში ყოველწლიურად მილიონობით ლიფსიტის გაშვების საშუალებას იძლევა. იმპორტირებული „სადედე ჯგუფი“ რამდენიმე ტბაში განთავსდა. უკვე 2020 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე აღმოსავლეთ საქართველოს მდინარეებში და, მათ შორის, ქვემო ქართლში საცდელად ასიათასობით ფარგის ლიფსიტა გაუშვეს<sup>21</sup>.

ფარგას მაშავრაში გაშვების შესახებ 'სიახლე' გამოქვეყნდა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებგვერდზე<sup>21</sup>. სამინისტროს ინფორმაციით, „მდინარე მაშავრაში თევზის სახეობა ფარგა გაუშვეს, რომელიც საქართველოს მდინარეებში უკვე ათეულობით წლებია აღარ გვხვდება. ფარგას გაშვების პროცესს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი დაესწრო.

<sup>21</sup> „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის ფარგლებში, კომპანია RMG ფარგას ბუნებაში დაბრუნების პროექტს ახორციელებს“, 2020 წლის 22 ივლისი

მინისტრის განცხადებით, სამინისტრო გადაშენების პირას მყოფი ან უკვე გადაშენებული სახეობების ბუნებაში დაბრუნებისა და აღდგენის მიმართულებით აქტიურად მუშაობს სამინისტროში შემავალ უწყებასთან, ველური ბუნების სააგენტოსთან ერთად.

„ფარგას მდინარეში დაბრუნების პროცესი, სიმბოლურად, მაშავერას მდინარით დავიწყეთ. მაშავერა არის მდინარე, რომელიც ისე იყო დაბინძურებული, რომ წლების განმავლობაში მასში ცოცხალი ორგანიზმი, ფაქტობრივად, არ გვხვდებოდა. სამინისტროს ძალიან მკაცრი მიდგომით, კომპანიისთვის RMG განსაზღვრული მიწერილობით, მოვახერხეთ დაბინძურების ძირითადი კრიტიკული წყაროების აღმოფხვრა. ეს პროცესი, წარიმართა სამოქალაქო აქტივისტების ჩართულობით და კომპანიასთან მჭიდრო თანამშრომლობით“, - განაცხადა ლევან დავითაშვილმა.

**გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის ფარგლებში, კომპანია RMG, ჟურნალ „ველურ ბუნებასთან“ ერთად, საქართველოს მდინარეებსა და ტბებში, იქთიოფუნისათვის მნიშვნელოვანი სახეობის თევზის - ფარგას დაბრუნების პროექტს ახორციელებს.**

**ფარგას რეინტროდუქცია მსოფლიო ბუნების დაცვის ფონდის (WWF) და „განვითარება და გარემოს“ ხელშეწყობით მოხდა. თევზის იმპორტი ამერბაიჯანიდან განხორციელდა, შემოყვანილ იქნა 1000-მდე მცირე ზომის ფარგა. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში შემავალი უწყების „ველური ბუნების სააგენტოს“ მიერ, ქართველი იქთიოლოგების დახმარებით, პირველად მოხდა ფარგას გამრავლება“.**

საგულისხმოა, რომ ამ სიახლის სამინისტროს ფეისბუქ-გვერდზე გაზიარების შემდეგ ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის კავკასიის ოფისის კონსერვაციის დირექტორმა [უარყო](#) ფარგას მაშავერაში გაშვებასთან რაიმე კავშირი; ასევე [განცხადება](#) გავრცელდა ორგანიზაციის ფეისბუქ-გვერდზე<sup>22</sup>, თუმცა სამინისტროს ვებ-გვერდზე და არაერთ მედიასაშუალებაში გამოქვეყნებული ინფორმაცია კვლავ ამტკიცებს პროცესში ორგანიზაციის მონაწილეობას.

მდინარე მაშავერაში ფარგას გაშვება უარყოფითად შეაფასეს სპეციალისტებმა, ვინაიდან არანაირი სამეცნიერო ისტორიული ცნობები არ არსებობს იმის თაობაზე, რომ ეს სახეობა მაშავერაში ბინადრობდა. შესაბამისად, სამინისტროსა და RMG-ის ქმედება, რომელიც საზოგადოების წინაშე წარმოჩენილი იყო, როგორც ბუნების დაცვაზე (ბიომრავალფეროვნების კონსერვაციაზე) ორიენტირებული ღონისძიება, სინამდვილეში არის უცხო სახეობის ინვაზია, იგივე ინტროდუქცია, ანუ ფაუნისათვის უცხო სახეობების შემოყვანა და ბუნებაში გაშვება. გლობალურად, უცხო სახეობები წარმოადგენენ ბიომრავალფეროვნების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საფრთხეს. საქართველოს კანონის „ცხოველთა სამყაროს შესახებ“ 23-ე მუხლის თანახმად, „ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ გარეულ ცხოველთა თვითნებურად გადასახლება ახალ საბინადრო გარემოში და საქართველოს ცხოველთა სამყაროსათვის უცხო სახეობების ინტროდუქცია აკრძალულია“.

RMG-ის სატექსტო რეჟიმში არსებული ვებ-გვერდზე რუკის თანახმად, გვერდზე ასევე უნდა განთავსდეს: 'გარემოსდაცვითი პოლიტიკა', 'მონიტორინგი', 'შემარბილებელი ღონისძიებები', 'გზმ'.

საგულისხმოა, რომ 2018 წლის 1 იანვრიდან გარემოსდაცვითი შეფასებების კოდექსის ამოქმედებასთან ერთად გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ვალდებულია სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოაქვეყნოს საქმიანობის შემდგომი ანალიზი, რომელიც მოიცავს:

ა) პირობებისა და შემარბილებელი ღონისძიებების მონიტორინგს;

<sup>22</sup> „ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) „არემჯის“ პროექტ „ფარგის დაბრუნება საქართველოში“ თანამონაწილეობის შესახებ გავრცელებული ინფორმაცია არ შეესაბამება სინამდვილეს. ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდი არ თანამშრომლობს წიალისეულის მომპოვებელ არცერთ კომპანიასთან, მათ შორის, არც „არემჯისთან“.

- ბ) საქმიანობის განხორციელებით გამოწვეული გარემოზე ზემოქმედების ანალიზს;
- გ) გზმ-ის ანგარიშით გათვალისწინებული გარემოს მახასიათებლების ცვლილებების შეფასებას.

ეს ვალდებულება კოდექსის ამოქმედებიდან მეორე წლის მიწურულსაც კი არ სრულდება - არც არემჯის კომპანიების და არც ნებისმიერი სხვა საწარმოს მიმართ. პირობების შესრულების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მოპოვება მხოლოდ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის საფუძველზეა შესაძლებელი.

### წიალით სარგებლობის ლიცენზიები

არემჯი ჯგუფში შემავალი კომპანიების საკუთრებაში არსებული წიალით სარგებლობის ლიცენზიები - ამონარდი წიალის ეროვნული სააგენტოს მიერ მონოპოლიზებული წიალით სარგებლობის ლიცენზიების რეესტრიდან<sup>23</sup>.

ლიცენზიის ნომერი	ობიექტის დასახელება	ლიცენზიის მფლობელი	რეგისტრაციის და მოქმედების ვადა	რესურსის მოცულობა	ფართობი	გადაცემა
10	ბოლნისის ჯგუფის ცნობილი საბადოების წიალისეულის გეოლოგიური შესწავლა და შემდგომი მოპოვება (ბოლნისის, დმანისის და მარნეულის რაიონები)	შპს RMG Gold	07.04.1994 30.12.1996 20 წელი ვადა გაუგრძელდა 01.01.15 ვადა გაუგრძელდა 01.01.20წ.		9.0 ჰა	შპს „ტრანს-ჯორჯიენ რესურსეს“ გადაფორმდა ბრძ. №1-1/291 11.02.09 შპს „კვარციტზე“ გაცემული ლიცენზია გადაფორმდა ბრძ.№13/544 30.10.12წ. ბრძ.№245 07.04.14წ. ბრძ.№478/ს 31.12.14წ.
11	მადნეულის ოქრო-სპილენძი-ბარიტი-პოლიმეტალური ექსპლუატაციაში მყოფი საბადოს კომპლექსური დამუშავება ბოლნისის რაიონში	სს RMG Copper	12.04.94 23.07.97 20 წელი	1) სპილენძის მადანი-5070000 (Cu-0.35%, Au-0.41გრ/ტ, Ag-1.68გრ/ტ) 2) ოქროს შემცველი მეორადი კვარციტები - 2713200 (Au-1.02 გრ/ტ, Ag-5.15გრ/ტ)	421,45 ჰა	შევიდა ცვლილება ბრძ. №13/15 14.05.12წ. სს „მადნეულზე“ გაცემული ლიცენზია გადაფორმდა ბრძ.№13/546 30.10.12წ.
1000874	სასარგებლო წიალისეულის (ფერადი, კეთილშობილი, იშვიათი მეტალები და ბარიტი) შესწავლა-მოპოვება ბოლნისის მუნიციპალიტეტში	სს RMG Copper	30.10.12 12.04.14		26.28 ჰა	სს „მადნეული“-მე გაცემული ლიცენზია გადაფორმდა 1000281
1002122	სასარგებლო წიალისეულის (ფერადი, კეთილშობილი, იშვიათი მეტალები და ბარიტი) შესწავლა-მოპოვება ბოლნისის და დმანისის მუნიციპალიტეტებში	შპს RMG Gold	25.11.14 02.01.42 ლიცენზიის დაწყება 01.01.15		193.76 ჰა	1000577 ლიცენზიის ნაწილი გადასცა შპს „მაინინგ ინვესტმენტს“-მა 1001028 ლიცენზიის ცვლილება შპს „Mining Investments Gold“-მე გაცემული ლიცენზიის ცვლილება (შერწყმა) 1001539
1003161	სასარგებლო წიალისეულის (ფერადი, კეთილშობილი, იშვიათი მეტალები	სს ჯორჯიან კოპერ ენდ გოლდი	04.12.15 13.10.41	შესწავლის ვადა 72 თვე (1 წელი, 10 თვე, 8 დღე)	86 107.669 ჰა	შევიდა ცვლილება ბრძ.№414 23.10.13წ. შევიდა ცვლილება (შესწავლის ვადა

<sup>23</sup> წიალით სარგებლობის ლიცენზიების რეესტრი 2021 წლის 9 თებერვლის მდგომარეობით. დოკუმენტი მხოლოდ მოთხოვნის საფუძველზე ხელმისაწვდომია წიალის ეროვნული სააგენტოში



ლიცენზიის ნომერი	ობიექტის დასახელება	ლიცენზიის მფლობელი	რეგისტრაციის და მოქმედების ვადა	რესურსის მოცულობა	ფართობი	გადაცემა
	და ბარიტი) შესწავლა-მოპოვება ბოლნისის, მარნეულის, დმანისის, წალკისა და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტები					გაგზარდა) ბრძ.#1784/ს 10.11.15წ. 1000226 ლიცენზიის ნაწილი გადასცა შპს „კავკასიის სამთო ჯგუფი“-მა
1004034	„ბექთაქარის“ ოქრო-პოლიმეტალური საბადოდან სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება ბოლნისის მუნიციპალიტეტში	შპს არ ემ ჯი აურამაინ	19.10.16 13.10.41	ბექთაქარის საბადო: ოქრო-11987.87კგ, ვერცხლი-108712კგ, ტყვია-27448ტ, თუთია-57528ტ	სამთო - 345,7939 ჰა მიწა - 309.849 ჰა	შევიდა ცვლილება ბრძ.№414 23.10.13წ. შევიდა ცვლილება (შესწავლის ვადა გაგზარდა) ბრძ.#1784/ს 10.11.15წ. 1000226 ლიცენზიის ნაწილი გადასცა სს კორჯიან კომპერ ენდ გოლდს 1003160 ლიცენზიის ცვლილება (მოპოვება) 1003998 ლიცენზიის ნაწილი გადასცა შპს კავკასიის სამთო ჯგუფმა
1004600	„ბნელი ხევის“ ოქრო-პოლიმეტალური საბადოდან სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში	შპს ჯორჯიან გოლდ კომპანი	31.05.17 13.10.41	საბადოს ჩრდილო-აღმოსავლეთ უბანზე - ოქრო-1635.07 კგ, ვერცხლი-8503.79 კგ	სამთო - 239.4021 ჰა, მიწის - 504.6677 ჰა	შევიდა ცვლილება ბრძ.№414 23.10.13წ. შევიდა ცვლილება (შესწავლის ვადა გაგზარდა) ბრძ.#1784/ს 10.11.15წ. 1000226 ლიცენზიის ნაწილი გადასცა სს კორჯიან კომპერ ენდ გოლდს 1003160 ლიცენზიის ცვლილება (მოპოვება) 1003998 ლიცენზიის ნაწილი გადასცა შპს არ ემ ჯი აურამაინს 1004035 ლიცენზიაში ცვლილება (მარაგები დამტკიცდა) 1004318 ლიცენზიის ნაწილი გადასცა შპს კავკასიის სამთო ჯგუფმა
1005299	„დიდი დმანისის“ მეორადი კვარციტების მოპოვება დმანისის მუნიციპალიტეტში	შპს RMG Gold	07.03.18 21.12.25	მინიმუმ 90000 ტონა/წელიწადში	10.0 ჰა	წიაღით სარგებლობის 0673 ლიცენზია მთლიანად გადასცა შპს სამშენებლო მასალებმა
1005314	სასარგებლო წიაღისეულის (ფერადი, კეთილშობილი, იშვიათი მეტალები და ბარიტი) შესწავლა-მოპოვება ბოლნისის, მარნეულის, დმანისის, წალკისა და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტები	შპს კავკასიის სამთო ჯგუფი	14.03.18 13.10.41	დავით-გარეჯის ოქრო-ბარიტ-პოლიმეტალური საბადო: ვერცხლი-108.93ტ (108930კგ), ბარიტი-895191.59ტ დანარჩენ უბნებზე შესწავლის ვადა - 120 თვე	100865.459 4 ჰა	შევიდა ცვლილება ბრძ.№414 23.10.13წ. შევიდა ცვლილება (შესწავლის ვადა გაგზარდა) ბრძ.#1784/ს 10.11.15წ. 1000226 ლიცენზიის ნაწილი გადასცა სს კორჯიან კომპერ ენდ გოლდს 1003160 ლიცენზიის ცვლილება (მოპოვება) 1003998 ლიცენზიის ნაწილი გადასცა შპს არ ემ

ლიცენზიის ნომერი	ობიექტის დასახელება	ლიცენზიის მფლობელი	რეგისტრაციის და მოქმედების ვადა	რესურსის მოცულობა	ფართობი	გადაცემა
						ჭი აურამაინს 1004035 ლიცენზიაში ცვლილება (მარაგები დამტკიცდა) 1004318 ლიცენზიის ნაწილი გადასცა შპს ჯორჯიან გოლდ კომპანის 1004601 ლიცენზიის ცვლილება (შესწავლის ვადის გაზრდა)
1005456	სასარგებლო წიაღისეულის (ფერადი, კეთილშობილი, იშვიათი მეტალები და ბარიტი) შესწავლა-მოპოვება (ბოლნისის მუნიციპალიტეტში)	სს RMG Copper	10.05.18 16.04.41	ოქრო - 1804.6912 კგ; ვერცხლი-64 900.344 კგ; სპილენძი-26815.06ტ; ოქრო - 1691.16 კგ	1035.5 ჰა	1000577 ლიცენზიის ნაწილი გადასცა შპს მაინინგ ინვესთმენტმა იჯარით გადასცა სს RMG Copper-ს 2014 წლის 12 ივლისის ჩათვლით შპს Mining Investments Copper-ზე გაცემული 1001030 ლიცენზიის ცვლილება 1002121 ლიცენზიის ცვლილება (დამტკიცდა მარაგები) 1004727 ლიცენზიის ცვლილება (დამტკიცდა მარაგები)

ამ ეტაპზე არ ვფლობთ ინფორმაციას არემჭი ჯგუფში შემავალი კომპანიების საკუთრებაში არსებული წიაღით სარგებლობის ლიცენზიების პირობების შესრულების მდგომარეობის შესახებ. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ ჩვენი განცხადება წიაღის ეროვნულმა სააგენტომ კომპანიებს გადაუგზავნა და სთხოვა “წიაღის შესახებ” კანონის 29-ე მუხლის შესაბამისად, შესაძლო მოკლე ვადაში ეცნობებინა ‘პოზიცია საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე’. უნდა ვივარაუდოთ, რომ კომპანიების პოზიციას საჯარო ინფორმაციის გაცემაზე წიაღის ეროვნული სააგენტო ითხოვდა ‘წიაღის შესახებ’ კანონის 29-ე მუხლის იმ განმარტების საფუძველზე, რომელზე დაყრდნობითაც სააგენტოს მიაჩნია, რომ წიაღით სარგებლობის ლიცენზიების პირობების შესრულების შესახებ საჯარო უწყებაში წარდგენილი ანგარიში არის ლიცენზიანტის საკუთრება და მისი სხვისთვის გადაცემა მხოლოდ შესაკუთრესთან შეთანხმების უნდა მოხდეს.

მწვანე ალტერნატივას 2019 წლის გამოცემაში [„წიაღის მოპოვების ლიცენზიანტების პროფილები“](#) წარმოდგენილია ინფორმაცია წიაღის მოპოვების ისეთი მნიშვნელოვანი არეალის შესახებ, როგორცაა ქვემო ქართლის, წალკის, თეთრი წყაროს, დმანისის, ბოლნისისა და მარნეულის მუნიციპალიტეტების ტერიტორიები, სადაც ფერადი ლითონების მოპოვება ხდება. ინფორმაცია მოიცავს:

წიაღით სარგებლობის ლიცენზიის მფლობელები;

- ლიცენზიის მოქმედების ვადა, ფართობი, მოსაპოვებელი რესურსის ოდენობა;
- ლიცენზიის პერიმეტრში მოქცეული ტყით დაფარული ფართობი;
- გასული წლების განმავლობაში ტყის ფართობის კარგვა;
- სპეციალური დანიშნულებით ტყითსარგებლობის ხელშეკრულებები;
- წიაღით მოსარგებლის მიერ დაგეგმილი/განხორციელებული სარეკულტივაციო ღონისძიებები;
- ტყის ეკოსისტემების საკომპენსაციო ღონისძიებები (აღდგენა, განახლება, ხელშეწყობა) და ფულადი კომპენსაციები.

2015 წლიდან „მწვანე ალტერნატივა“ გამოსცემს პერიოდულ ანგარიშს „გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ საქართველოში“. გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის განხილვისას ვაფასებთ ე.წ. მსხვილი დამბინძურებლების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მდგომარეობას და ვამზადებთ საქმიანობის მასშტაბითა და გარემოსა და ადამიანების ჯანმრთელობაზე ზემოქმედების თვალსაზრისით ოთხი გამორჩეული საწარმოს პროფილს. ესენია: არემჯი, ჯორჯიან მანგანეზი, საქნახშირი და ჰაიდელბერგცემენტი.

ეს დოკუმენტი არემჯის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მდგომარეობას აღწერს.



დოკუმენტი გამოცემულია მწვანე ალტერნატივას, ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის თბილისის ოფისთან თანამშრომლობით, მიმდინარე პროექტის ფარგლებში - „ადვოკატირება მინერალური რესურსების გამჭვირვალე და პასუხისმგებლიანი მართვისთვის“ და ღია საზოგადოების ფონდების ქსელის ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის „ენერჯეტიკის, წიაღით სარგებლობისა და ტრანსპორტის სექტორებში მმართველობის გაუმჯობესების ხელშეწყობისათვის საქართველოში“ ფარგლებში.



ანგარიშის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია მწვანე ალტერნატივა და ის არავითარ შემთხვევაში არ გამოხატავს ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის თბილისის ოფისის და ღია საზოგადოების ფონდების ქსელის შეხედულებებს.



ავტორი: ნინო გუჯარაიძე

© მწვანე ალტერნატივა, 2021

თბილისი, 0179,  
 ფალიაშვილის ქ. #39ბ, IV სართული  
 ტელ.: 222 38 74  
[GREENALT@GREENALT.ORG](mailto:GREENALT@GREENALT.ORG)  
[WWW.GREENALT.ORG](http://WWW.GREENALT.ORG)